ლევან ტყეშელაშვილი

აფხაზეთის
(დასავლეთ საქართველოს)
პათალიკოსი იოსებ ბაგრატიონი

ლევან ტყეშელაშვილი

აფხაზეთის
(დასავლეთ საქართველოს)
კათალიკოსი იოსებ გაგრატიონი

ქუთაისი 2018

კათალიკოსი იოსებ ბაგრატიონი (1769-1776 წწ) XVIII საუკუნის გამორჩეული საეკლესიო მოღვაწეა. გაენათელ ეპისკოპოსად მოღვაწეობის პერიოდში, 1755-1769 წლებში, მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ლეკთაგან დაზიანებული გელათის სამონასტრო კომპლექსის აღდგენა-განახლებასა და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს გაძლიერებაში. იოსებ ბაგრატიონი ერთგულად ედგა გვერდით ძმას, იმერეთის სახელოვან მეფეს, სოლომონ პირველს (1752-1784) ერთიანულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც იგი სამი ათეული წლის მანძილზე ახორციელებდა. წიგნში აღნიშნული ეპოქის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული და შესწავლილი.

წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას
ვუხდით **მღვდელ ექვთიმე სარალიძეს**

რედაქტორი: ნინო სარავა

კორექტორი: ქეთევან (ბაია) ბოჭორიშვილი

© **ლევან ტყეშელაშვილი**

ISBN 978-9941-471-22-3

შესავალი

დასავლეთ საქართველო მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ოსმალთა ზეგავლენისა და ტყვეთა სყიდვის გამო ურთულეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. იმერეთის სახელოვანი მეფის-სოლომონ პირველის (1752-1784) განსაკუთრებულმა ღვაწლმა იმერეთი და დასავლეთ საქართველო გაათავისუფლა ამ სატანჯველისაგან. ერთვნულ-განმათავისუფლებელ საქმეში სოლომონის ღირსეული თანამებრძოლი იყო მისი ძმა იოსებ კათალიკოსი, რომლის მოღვაწეობაც ქართველი საზოგადოების უმრავლესობისათვის დღემდე უცნობია. მისი მოღვაწეობის დასაწყისად XVIII საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარი უნდა მივიჩნიოთ, შესაბამისად მისი მღვდელმთავრობის დაახლოებითი პერიოდი გელათის ეპისკოპოსად 1755-56-1769 წლებს მოიცავს, ხოლო კათალიკოსობისა პერიოდი უფრო მცირეა 1769-1776 წლები. მიუხედავად მისი ხანმოკლე მოღვაწეობისა, რომელიც ორ ათეულ წელს მოიცავს, მრავალი საკითხი ჯერ კიდევ გამოუკვლეველია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოსების დამსახურება ლეკთაგან დაზიანებული გელათის მონასტრის სასარგებლოდ, იოსებ ბაგრატიონმა არაერთი ძველი მამული მოიძია და სიგელით დაუბრუნა გელათის მონასტერს.

იოსებ ბაგრატიონი ასევე აქტიურად იღწვოდა პოლიტიკურ ასპარეზზეც, განსაკუთრებით დიპლომატიური მიმართულებით. იგი, ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა, 27 წლის ასაკში, ეპისკოპოსის რანგში ოსმალეთში იმყოფებოდა დიპლომატიური მისიით, რათა თავისი ქვეყანა გამოეყვანა ურთულესი მდგომარეობიდან. 1769 წელს მოსალაპარაკებლად გაემგზავრა ახალციხის ფაშასთან, რათა არ დაეშვა ოსმალეთიდან სოლომონ მეფის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის განხორციელება. ამ ვიზიტის დროს იოსებ ბაგრატიონმა წარმატებას

მიაღწია და აღკვეთა საფრთხე, რომელიც შინაური მტრებისგან იყო პროვოცირებული.

კათალიკოსმა იკისრა სოლომონ მეფესა და რაჭის ერისთავს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მოგვარება, რაჭის ერისთავი არაერთხელ შემოუძღვა მტერს იმერეთში და ხრესილის ომიდან (1757) მოყოლებული მრავალჯერ დააყენა ქვეყანა დიდი საფრთხის წინაშე. აღნიშნული დაპირისპირება დასრულდა რაჭის ერისთავის სასტიკი სასჯელით – სოლომონ მეფემ ქვეყნის ორგული და მისი შვილები სამაგალითოდ დასაჯა. გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს რაჭის ერისთავის დასჯის გამო სოლომონ მეფესა და იოსებ კათალიკოსს შორის ჩამოვარდა უთანხმოება, რასაც იოსების კათალიკოსობიდან გადადგომა მოჰყვა, წყაროების მიხედვით არ დასტურდება, პირიქით, 1770-იანი წლებიდან იოსები არაერთ საბუთში კათალიკოსადაა მოხსენიებული და იგი სრულფასოვნად ახორციელებს საკათალიკოსო უფლებამოსილებას. 1769 წლის შემდეგ ძმებს შორის შეთანხმებული ურთიერთობა ქვეყნის საკეთილდღეოდ 1776 წლამდე გრძელდება. კათალიკოსობის პერიოდში იოსები რამდენჯერმე წავიდა მოსალაპარაკებლად სამეგრელოს მმართველ კაცია დადიანთან, რათა სოლომონ მეფესა და დადიანს შორის შეთანხმება მიღწეულიყო, მისი მესამე ვიზიტის დროს ხონში, 1775 წელს, მეფე-მთავარს შორის მომხდარა შეხვედრა.

1776 წელს ახალგაზრდა კათალიკოსი მძიმე ავადმყოფი ქუთაისში მწვანეყვავილას რეზიდენციაში გარდაიცვალა. სოლომონ მეფის ბრძანებით, იოსებ კათალიკოსი გელათის ტაძრის დასავლეთ მინაშენში, იოაკიმესა და ანას სახელობის ტრაპეზის ქვეშ დაკრძალეს, რაც მისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. დღემდე მცდარი შეხედულებით მიჩნეული იყო, რომ გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ ბურჯზე გამოსახული მღვდელმთავრის ფრესკა იოსებ გაენათელს ეკუთვნოდა, მაგრამ ფაქტია,

რომ ფრესკა უფრო ადრინდელია, იგი XVII საუკუნეში მოღვაწე ერთ-ერთ გაენათელ მღვდელმთავარს ეკუთვნის, რასაც ადასტურებს შესრულების სტილი და ფრესკის ზემოთ არსებული საქტიტორო წარწერა, რომელშიც იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამე (1639-1660) და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი არიან მოხსენიებულნი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფრესკა იოსებ გაენათელს არ ეკუთვნის. გელათში მთავარ ტაძარში დღემდეა შემორჩენილი იოსებ ბაგრატიონის მიერ აგებული ქვის სამღვდელმთავრო ტახტი, რომელზეც დაცულია საქტიტორო წარწერა. ტახტი იოსებმა 1760 წელს აღადგინა, მას შემდეგ, რაც იგი ლეკების თავდასხმის დროს დაზიანდა. ქვის ტახტი ძველ, XVI საუკუნეში აგებულ სამღვდელმთავრო ტახტზეა დადგმული, შემორჩენილია ძველი ტახტის თეთრი ბერძნული მარმარილოს ორი სვეტი და ფრესკული მხატვრობის კვალი.

ღვაწლმოსილი კათალიკოსი გარდაცვალების წინაც წუხს გელათის გამო, იოსებ კათალიკოსმა გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე დაწერა სიგელი, რომელშიც გელათისადმი განსაკუთრებული სიყვარულია გამჟღავნებული: „ჩემი ღვწა დღე და ღამე ეს იყო“, რადგან იგი გელათს ეკურთხა დიაკვნად, მღვდლად და მღვდელმთავრად, მთელ თავის მოღვაწეობას გელათს უძღვნის: „რაც რამე მიღვაწია, ყოველივე გელათისთვის მინდოდა და კიდეც შემიწირავს“. მისი განსაკუთრებული სიყვარული გელათისადმი დაუფასეს კიდეც და ახალგაზრდა კათალიკოსი მთავარი ტაძრის დასავლეთ მინაშენში თვალსაჩინო ადგილზე დაკრძალეს.

მძიმე ავადმყოფმა ახალგაზრდა კათალიკოსმა თავისი უკანასკნელი ანდერძით 1776 წლის 13 მაისს გელათის მონასტერს მრავალი ქონება შესწირა. ანდერძი უშუალოდ სოლომონ მეფის მიერ იქნა დამოწმებული. იოსებ ბაგრატიონი აფხაზეთის უკანასკნელი კათალიკოსია, რომელიც საქართველოში აღესრულა და გელათის მონასტერში და-

კრძალეს. მისი საფლავი პირველადი სახით არის ჩვენამდე მოღწეული და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

წიგნზე მუშაობისას გამოვიყენეთ XVIII საუკუნის საისტორიო წყაროები, სადაც იოსებ კათალიკოსის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული. ისტორიოგრაფიული ნაშრომებიდან გამოსარჩევია ისტორიკოსების: ს. კაკაბაძის, ბ. ლომინაძის, თ. ქორიძისა, გ. მჭედლიძის და ბ. გაფრინდაშვილის ნაშრომები, რომლებშიც იოსებ კათალიკოსის მოღვაწეობის არაერთი საკითხია შესწავლილი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში იოსების გაენათელობა 1745 წლით იყო განსაზღვრული, რაც არასწორია, რადგან იესე (იოსები) 1738 წელს იყო დაბადებული და 1745 წლისათვის 7 წლის იყო. იოსების გაენათლობა 1755 წლამდე ალბათ გამორიცხულია, რადგან იგი ამ დროისთვისაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა 17-18 წლის იყო. აღნიშნულის სამტკიცებლად ჩვენ წიგნში მოყვანილი გვაქვს არგუმენტირებული მსჯელობები, რომლებიც საარქივო დოკუმენტებით არის გამყარებული, ჩვენ მიერ მოძიებული გამოუქვეყნებელი დოკუმენტები საშუალებას იძლევა უფრო მეტი გავიგოთ ამ ღირსეული კათალიკოსის მოღვაწეობაზე, რომლის თავდადება და სარწმუნოება დღესაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ვფიქრობთ, იოსებ ბაგრატიონის მოღვაწეობა მისი სახელოვანი ძმის წმინდა მეფე სოლომონ პირველის ღვაწლთან ერთად უნდა განვიხილოთ და ისე გამოვიტანოთ დასკვნა. ამ ორმა ღირსეულმა ბაგრატიონმა ქვეყანა ოსმალური საფრთხისგან იხსნა და მათი თავდაუზოგავი მონდომების შედეგად ტყვეთა სყიდვა აიკრძალა და აღდგა მტრისაგან იავარყოფილი ეკლესია-მონასტრები.

იოსებ ბაგრატიონი ძველი საქართველოს ერთ-ერთი ბოლო მოღვაწეა, რომელმაც არამარტო გაამშვენიერა გელათის სამეფო საძვალე, არამედ იზრუნა, რომ საღვთო ლიტურგიაც სათანადო დონეზე

ჩატარებულიყო გელათში, რის გამოც მან ზაქარია გაბაშვილთან ერთად ბერძნულსა და რუსულზე დაყრდნობით გადააწერინა იოანე ოქროპირის ლიტურგია. მანვე 1761 წელს გაენათლობის პერიოდში, გადააწერინა 1103 წლის რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, რათა ამ უმნიშვნელოვანესი საეკლესიო სამართლის ძეგლის მიხედვით ემოქმედათ ეკლესიაში. ხელნაწერის ბოლოს შემორჩენილია იოსებ კათალიკოსის ხელით შესრულებული ტექსტი, რომელიც მას გარდაცვალებამდე თვე-ნახევრით ადრე დაუწერია.

იოსებ ბაგრატიონი გაენათელი ეპისკოპოსი 1755-1769 წწ.

იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის (1725-1752) მეფობის პერიოდში დასავლეთ საქართველოში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური სიტუაცია იყო. მეფე ვერ აკონტროლებდა სამეფოს დედაქალაქ ქუთაისს, რადგან იქ ოსმალები იყვნენ გამაგრებულნი, ქვეყანაში ტყვეთა სყიდვა იყო გავრცელებული, გაუქმებული იყო ქუთაისის საეპისკოპოსო. ამ ურთულეს დროში უმთავრეს საეკლესიო ცენტრს გელათის მონასტერი წარმოადგენდა, სადაც ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული ძველი დიდების კვალი. იოსებ ბაგრატიონი იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ისა და თამარ აბაშიძის შვილი იყო. ცნობილია, რომ ალექსანდრე მეფეს 1730 წელს გარდაეცვალა პირველი მეუღლე მარიამ დადიანი და იგი მეორედ დაქორწინდა 1732 წელს თამარ აბაშიძეზე, თამარისგან შეეძინა იესე, რომელიც ალექსანდრეს შვილებს შორის მესამედ იხსენიება. იესე, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ალექსანდრეს მემკვიდრეებს შორის მესამედ არის დასახელებული. მზია სურგულაძის ნაშრომში: „ბაგრატიონთა სამეფო სახლი“ იოსები მესამეა: „სოლომონი, დავითი, იესე, ბაგრატ, არჩილ“ (სურგულაძე.1995:59). ხელ. ერ. ცენ. H-1705 საბუთის მიხედვითაც იესე მესამეა ალექსანდრეს შვილებს შორის, ხოლო ქუთაისის მუზეუმის ისტორიული საბუთის №775 მიხედვით მას მეოთხედ იხსენიებს: „ძემან ჩვენმა ბატონიშვილმა სოლომონ, ნარიმ დავით, ბაგრატ, იესემ, არჩილ და გიორგიმ“ (ტყეშელაშვილი.2016:13).

იმავე მუზეუმის №989 საბუთში კი იესე მეორედ არის მოხსენიებული. ზემოთ დასახელებული დოკუმენტების მიხედვით, ჩვენთვის ერთი რამ არის ცხადი – ალექსანდრეს ვაჟებს შორის უფროსი სოლომონი იყო. დადგენილია ასევე მისი დაბადების ზუსტი თარიღი 1735

წელი, შესაბამისად იესე დაბადებული უნდა იყოს 1735 წლის შემდეგ. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს სოლომონ პირველის სიგელი, რომელშიც იგი გასაგებად ბრძანებს: „მრჩობლისა ცხოვრებისა სასთ ჩვენი უფლისწული მრწემი ძმა ჩემი ყოვლად სამღვდელო გენათლის მიტროპოლიტი იოსებ“ (კაკაბაძე. 1921: 5). „მრწემი“ ანუ უმცროსი, როგორც სოლომონი ამბობს, ამასთანავე მეფისათვის ორთავე ცხოვრებაში იოსები იმედი იყო: „სასთ ჩვენი“. ვფიქრობთ ეს საკითხი იმდენად ნათელია, დამატებით კომენტარს აღარ საჭიროებს. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა სარგის კაკაბაძემ და იოსების დაბადება 1738 წლის ნოემბრით დაათარიღა (კაკაბაძე. 1914:98). იოსებ კათალიკოსის დაბადების თარიღის განსაზღვრის საშუალებას იძლევა მისი გარდაცვალების დროს ასაკის ცოდნა. იოსები გარდაიცვალა 1776 წელს 37 წლის ასაკში, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ იესე (იოსები) დაბადებულა 1738 წლის ბოლოს.

აღსანიშნავია, რომ იოსებ ბაგრატიონის გაენათელ ეპისკოპოსად დადგენის თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი უზუსტობაა. იოსების გაენათლობას 1745 წლიდან ვარაუდობდა ბ. ლომინაძე (ლომინაძე.1954:137). ამავე წლით დაათარიღა იოსების გაენათლობა თ. ქორიძემ, („საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები“) 2000. აღნიშნულ თარიღს იზიარებს თავის ნაშრომში ისტორიკოსი ბ. გაფრინდაშვილიც. არასწორი თარიღის დაფიქსირება გამოიწვია ზემოთ აღნიშნული სიგელის არასწორმა დათარიღებამ: „დაიწერა ქრონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩ ღ მ ე (1745) თვესა დეკემბერსა ი თ (19)“ (სკსა.ფ.1448.ს. №2208). შევნიშნავთ, რომ საქართველოს საისტორიო არქივში დაცულია სიგელის გვიან გადაწერილი ვარიანტი, რომელშიც შესაძლოა გადამწერმა თარიღი არასწორად მიუთითა. 1745 წელს იოსები გაენათელი ეპისკოპოსი ვერ გახდებოდა, რადგან იგი ამ წელს 7 წლის იყო. ჩვენი აზრით, იოსების გაენათლობა გამორიცხულია ალექსანდრეს მე-

ფობის პერიოდში, რადგან იგი ასაკით ძალიან პატარა იყო. იოსებს გაენათელის კათედრა 1752 წლის შემდეგ უნდა დაეკავებინა, როდესაც იგი სრულწლოვანების ასაკს იქნებოდა მიახლოებული.

იოსების ასაკის განსაზღვრისას ზოგიერთი მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა ისტორიულმა გადმოცემამ, რომელიც რეალობას ამკარად ეწინააღმდეგება: ხალხური გადმოცემით, სამეფო ტახტი უფროს ძმას, იოსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან ხედავდა, რომ მისი უმცროსი ძმა სოლომონ უფრო სამეფო კაცი იყო, როგორც თვალტანადობით, აგრეთვე ძლიერებითა და სიმარჯვეით, ამის გამო იოსებმა მეფობა მას დაუთმო, თვითონ კი ბერად შედგა (სიხარულიძე.1964:154). გადმოცემა არარეალურია, რადგან პირმშო (უფროსი) ძმებს შორის სოლომონი იყო და ტახტიც მას ერგებოდა.

როდის შეიძლებოდა იოსების გაენათელ ეპისკოპოსად კურთხევა? ჩვენი აზრით მისი ხელდასხმა სოლომონ პირველის მეფობის დროს, დაახლოებით 1755 წლიდანაა სავარაუდებელი, ამ პერიოდში იგი 17 წლის იყო და უფრო ადრე მისი გაენათლობა ნაკლებ სარწმუნოა. ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება ზოგიერთი საბუთი, რომლებშიც იოსები გაენათელად არის მოხსენიებული. ერთი საბუთის მიხედვით, იოსებ კათალიკოსის ძმა სოლომონი მეფედ იხსენიება 1752 წლამდე. სოლომონი მეფედაა მოხსენიებული 1750 წელს ხონის წმინდა გიორგის ტაძრის სიგელში: „ახლა ღთისა მიერ რჩევით წარმოჩენილმან ხელმწიფემ მეფეთ-მეფემ სოლომონ და დედოფალთ-დედოფალმან სარწმუნოებით ნათელფენილმან დადიანის ასულმან მარიამ შეგვიწყნარა და ეს სამთავარეპისკოპოსო ეკლესია და მამული და ნახევარი ბაჟი მიბოძა“ (კაკაბაძე.1914: 95). 1750 წელს მარიამ დადიანი სოლომონის მეუღლე ჯერ კიდევ არ იყო, მარიამ დადიანი სოლომონის მეუღლე გახდა 1753 წლიდან, ასე, რომ სიგელი არასწორადაა დათარიღებული. 1753 წლამდე სოლომონის მეუღლე იყო თინათინ შერვაშიძე. ჩვენ წინა ნაშრომში დავასაბუთეთ აღნიშნული სიგელების არასწორი დათარიღება და

აღვნიშნეთ, რომ იოსები, ვინაიდან ალექსანდრე მეფის მესამე შვილია და დაბადებული იყო 1738 წელს, 1750 წელს გაენათელი ეპისკოპოსი ვერანაირად იქნებოდა (ტყეშელაშვილი.2016:16-18).

1750 წელსვე იხსენიება სოლომონ პირველი მეფედ გელათის ერთ სიგელში, რომელშიც ასევე იოსებია მოხსენებული: „მღვდელმონაზონი ლაზარე ურგებლიძე სწირავს... შევვედრებივარ ამ ჩემს ხელმწიფის შვილს გაენათელს იოსებს და შემდგომს კვალად გენათელს, რათა წელიწადშიდ თვითონ მოხსენებას და წირვას ყოფდნენ ჩემ ცოდვილთ-ათვის“ (იქვე:97). 1750 წელს სოლომონი ჯერ არ იყო მეფე, სიგელში ასევე იხსენიება ქუთათელი მღვდელმთავარი მაქსიმე აბაშიძე, რომელ-საც 1750 წელს ქუთათელის კათედრა ჯერ კიდევ არ ეკავა, ვინაიდან ქუთათელის კათედრა 1759 წელს აღდგა. ასევე ვერ იქნებოდა გაე-ნათელი მღვდელმთავარი იოსები, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, დაბადებული იყო 1738 წელს, შესაბამისად, იგი 1750 წელს 12 წლის ასაკში, გაენათელი ეპისკოპოსი ვერანაირად იქნებოდა. სარგის კაკა-ბაძე ზუსტად ათარიღებდა იოსების დაბადებას, მაგრამ ხონის საბუთ-ზე დაყრდნობით მაინც შეცდომაში შევიდა, როცა იგი აღნიშნავდა თავის ნაშრომში: 1750 წ. 17 მარტს, როგორც ზემოთ მოხსენებულ ხონის სიგელიდან ჩანს, ის უკვე გენათლად ყოფილა, მაშინ როდესაც ის იქნებოდა მხოლოდ 11 1/2 წლისა (იქვე:98). ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, რადგან ასეთ ასაკში მღვდელმთავრობა წარმოუდგენელია. ამ ორ საბუთზე დაყრდნობით უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი საბუთის არასწორმა დათარიღებამ არაერთ მკვლევარს მცდარი ვარაუდისკენ უბიძგა.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მიკვლეული ერთი საბუ-თი, რომელიც დაცულია ქუთაისის მუზეუმში, კიდევ უფრო ამყარებს

*სოლომონ მეფე და იოსებ კათალიკოსი განსაკუთრებით ზრუნავდნენ მამის, ალექსანდრეს სულის მოსახსენიებლად. აქვე გვინდა შევეხოთ ალექსანდრე მეფ-ესთან დაკავშირებულ საკითხს, თითქოს მან გაძარცვა თამარ მეფის ეკვდერი,

ჩვენს არგუმენტირებულ მსჯელობას. სიგელი ეკუთვნის იმერეთის მეფე ალექსანდრე* მეხუთეს, იოსების მამას და იგი შედგენილია 1747 წელს:

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ აღმატებით განძლიერებულმან ძირდგმით იესიან დავითიანმან და რტომან სოლომონისმან... მეფეთ მეფემან ალექსანდრემ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან აბაშიძის ასულმან ბატონმან თამარ. პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან სოლომონ, ნარინ დავით, იესემ, ბაგრატ და არჩილ“ (ქიმ. № 866). სიგელის გაცემის დროს იესე ჯერ მცირეწ-ლოვანია და იგი თავისი საერო სახელით იხსენიება(იოსები მისი საეკლესიო სახელია), იგი ამ დროს 9 წლის იყო და ალექსანდრეს შვილებს შორის მესამეა, ალექსანდრე კი გარკვევით ბრძანებს რომ

რათა იქ თავისი საძვალე მოეწყო. მაგრამ ყურადღებით თუ დავაკვირდებით სიგელს, რომელშიც ალექსანდრე მეფე ბრძანებს: „იყვნეს მუნ გელათსა კერძო მარჯვენით ეგვტერი დავიწყებული ჟამთა ვითარებისაგან არავინ უწყოდა, თუ ვისი საძვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება საყდრისა. ხელ-ვყავ გაშენებად და შემკობად მისა“ (კაკაბაძე. 1921:60) 1730 წლისათვის გელათის მთავარი ტაძრის მარჯვენა მხარეს ყოფილა ეკვდერი, რომელშიც გაუქმებული ყოფილა ღვთისმსახურება, უფრო მეტიც – იმ დროისათვის არ იცოდნენ, რო-მელი წმინდანის სახელზე იყო ნაკურთხი აღნიშნული ეკვდერი. ანუ „ჟამათა ვითარებისგან“ მივიწყებული ეკვდერი ალექსანდრე მეფემ გაამშვენიერა და შეამ-კო, შემდეგ კი თავისი მეუღლე დაკრძალა ახლადაღდგენილ ეკვდერში, სადაც აღადგინა ასევე ღვთისმსახურება. ვფიქრობთ, არამართებულია ბრალდება ალე-ქსანდრე მეფის მიერ თამარის საფლავის გაძარცვასთან დაკავშირებით და ეს განსვენებული მეფის მიმართ გარკვეული მკრეხელობაცაა. ასეთივე მოსაზრება გამოთქვა 2006 წელს ისტორიკოსმა გ. ტყეშელაშვილმა: ეს აზრი შეწყნარებას იმსახურებს იმდენად, რომ მირონცხებულ მეფეს ასეთ საქციელს არავინ მოუ-წონებდა, მითუმეტეს ქართველთა საფიცარი მზის, წმინდა თამარ მეფის სა-ფლავის წაბილწვას, უბრალოდ „აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლი და სხვანი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი“ თამარის საფლავის გახსნას არ დაანებებდნენ (ტყეშელაშვილი.2006:189).

მისი პირმშო (უფროსი) შვილი სოლომონია, რომელიც ამ დროს 12 წლის იყო. ამ საბუთზე დაყრდნობით სრულიადნათელია, რომ 1747 წელს იესე ჯერ ბავშვი იყო და მისი გაენათლობა XVIII საუკუნის 50–იანი წლების მეორე ნახევრამდე საერთოდ გამორიცხულია.

აქვე შევნიშნავთ, რომ ვერ გავიზიარებთ ისტორიკოს ბ. გაფრინდაშვილის მოსაზრებას იოსებ კათალიკოსის წლოვანებასთან დაკავშირებით. მას ეჭვი შეაქვს იოსების დაბადების თარიღში: „1776 წლისათვის იოსები სულ მცირე 50 წელს გადაცილებული იქნებოდა. მაგრამ ისმის კითხვა, რატომ აცხადებს იოსები 1766 წლის ანდერძში, რომ ის 27 წლისა და ცხრა თვის არის? აქ იოსები ბერად აღკვეციდან გასულ წლებს ხომ არ გულისხმობს და იმიტომ აკონკრეტებს თვეებსაც კი? ჩვენი ვარაუდით იოსების ბერად აღკვეცა 1739 წელს უნდა მომხდარიყო“ (გაფრინდაშვილი.2015: 163). უნდა განვაცხადოთ, რომ 1766 წელს იოსები ნამდვილად 27 წლისა და ცხრა თვის იყო და აღნიშნული ანდერძი ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა იოსების ასაკის განსაზღვრისას. და ბოლოს, გელათის გულანიც იოსების გარდაცვალებისას ზუსტად გვაუწყებს კათალიკოსის ასაკს 37 წელსა და ექვს თვეს, ორივე წყარო შეუვალია და მათში ეჭვის შეტანა მიუღებელია. შესაბამისად მკვლევარის ვარაუდი, იოსებ კათალიკოსი გარდაცვალებისას თითქოს 50 წელს იყო გადაცილებული, არასწორია.

იოსებ კათალიკოსის გამზრდელი ყოფილა ელენე გუნცაძე, რასაც მოწმობს ერთ-ერთი ცნობა: „ნებითა ღვთისათა და ჯერჩინებითა პატრონის ჩემის, უფლისწულის გაენათლის იოსებისათა ვიგულსმოდგინე მე ფრიად ცოდვილმან ამა ჩემის ხელმწიფის შვილის გენათელის გამდელმან გუნცაძის ასულმან ელენემ“ (კაკაბაძე.1921:157). სხვა ცნობა იოსების აღზრდის შესახებ არ გვაქვს.

მღვდელმთავრად კურთხევამდე იოსები გელათში უკურთხებიათ ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად, ამის შესახებ თავად ბრძანებს: „გელათს დიაკვნად ვეკურთხე, მღვდლად ვეკურთხე და მღვდელმ-

თავრათ“(ქ.ს.dIII.1967:906). იოსების დიაკვნად და შემდეგ მღვდლად კურთხევა მალევე უნდა მომხდარიყო, რაც ალბათ 1750-იანი წლებიდანაა სავარაუდებელი. ჩვენ ზემოთ გამოვრიცხეთ იოსების მღვდელმთავრად კურთხევა მამის, ალექსანდრეს მეფობის პერიოდში, ან უ ალექსანდრეს გარდაცვალებისას იოსები 14 წლის იქნებოდა, სწორედ ამის გამო გამოვრიცხავთ მის სასულიერო პირობას და, რო-გორც ვთქვით, მისი კურთხევა უფრო 1754 წლიდანაა სავარაუდებე-ლი და ასევე მალე უნდა გაევლო დიაკვნისა და მღვდლის იერარქი-ული საფეხურები. ვის უნდა ეკურთხებინა იოსები დიაკვნისა და მღვდლის ხარისხში? ამ კითხვაზეც ძნელია პასუხის გაცემა, მისი წინამორბედი გაენათელი მღვდელმთავარი ექვთიმე იყო, რომელმაც 1738 წელს გელათში ბერად აღკვეცა ანტონი (შემდგომში კათა-ლიკოს-პატრიარქი), ექვთიმე 1744 წელსაც ცოცხალი იყო, მაგრამ არ ვიცით, როდის გარდაიცვალა ექვთიმე, რომელიც, როგორც მიიჩნევენ, გვარად შარვაშიძე იყო (მჭედლიძე. კეზევაძე. 2008:193).

იოსები ეპისკოპოსად იხსენიება 1755 წლის სიგელში, რომლის მიხედვითაც სოლომონ პირველმა დიდი შეღავათები დაუწესა გელა-თის მონასტერს: „მას ჟამსა ძმა ჩემი უმრწმესი იოსებ გენათლად იჯდა, გვეეედრა კრებულით თვისით... ჩვენც ხელ ვყავით განთავისუ-ფლებად დიდისა იწროებათაგან მოცულსა ტაძარისა... ამ გელათის შემავალს არც აზნაურის შვილის ყმასა და არც გლეხს... არასოდეს საურის გადასახადი ხარჯა არ ეთხოვებოდეს“ (კაკაბაძე. 1921:5). აღ-ნიშნული სიგელი არის ალბათ ერთ-ერთი პირველი, სადაც იოსები გაენათელ ეპისკოპოსად იხსენიება, სიგელის შედგენის დროს, 1755 წელს, იოსები ახალი ნაკურთხი უნდა ყოფილიყო ეპისკოპოსად. იოსებ გაენათელს მღვდელმთავრად კურთხევისთანავე დაუწყია გელათზე ზრუნვა, მან კარგად იცოდა გელათის პრობლემები, რადგან იგი ამ მონასტრის წევრთაგანი იყო ჯერ კიდევ მღვდელმთავრობამდე და უკვე გაენათელმა მღვდელმთავარმა თავის კრებულთან ერთად მეფეს

სთხოვა დახმარება, რაზეკ თანხმობა მიიღო. აქედან გამომდინარე, იოსებს ეპისკოპოსობა ძალიან მკირე ასაკში, დაახლოებით 17-18 წლისას, მიუღია, რაკ ალბათ უნიკალური შემთხვევაა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. შესაძლოა იმდროინდელი უმძიმესი სიტუაკიის გამო გადადგა ეს ნაბიჯი სოლომონ მეფემ, ამ დროისათვის ქუთაისისა და ხონის საეპისკოპოსოები გაუქმებული იყო, ხოლო კათალიკოსად სოლომონისთვის არასაიმედო პირთვნება, როსტომ რაჭის ერისთავის ძმა, ბესარიონი იჯდა. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს იოსების ასეთ ახალგაზრდა ასაკში გაენათელად კურთხევის მიზეზი. როგორკ თავად აღნიშნავს, ეპისკოპოსობამდე იგი ღვთისმსახურებას გელათში აღასრულებდა, სწორედ ამის გამო გამოარჩია იგი სოლომონმა: „ჩემი ღუწა დღე და ღამე ეს იყო, რომ რათაგან გელათს დიაკვნად ვეკურთხე, მღვდლად ვეკურთხე და მღვდელთმთავრათ, რაკ რამე მიღვაწია, ყოველივე გელათისთვის მინდოდა და კიდეკ შემიწირავს, როგორკ გალავანი შემოვავლე, ისე დახურვა მინდოდა“, შემდეგ ჩამოთვლილია გრძელი სია მისთა ნაღვაწთა ნაღვაწთა სასარგებლოდ გელათისა*“ (ქრონიკები.1967:345). ე.ი. იოსების კურთხევა ჯერ დიაკვნად და შემდეგ მღვდლად გელათში შედგა 1755 წლამდე და ახალგაზრდა სასულიერო პირმა მიზნად დაისახა გელათისთვის ზრუნვა და აღასრულა კიდეკ. ზემოთ თქმულიდან ვგებულობთ, რომ იოსების სურვილი მხოლოდ გელათის მონასტრის შემკობა-გალამაზება იყო, ამიტომ მისი მოღვაწეობის პერიოდში გელათის მონასტერს შემოავლეს გალავანი, შემდეგ კი მონასტერი დაიხურა. ქრონიკების მესამე ტომში მითითებულია, რომ

*ჩვენს მიერ 2006 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მუშაობისას თ. ჟორდანიას არქივში ვერ მივაკვლიეთ მესამე უბის წიგნს, სადაკ ჩამოთვლილი ყოფილა იოსებ კათალიკოსის ნაღვაწი გელათის სასარგებლოდ. შემდეგ ჩვენ დახმარება ვთხოვეთ ბატონ მიხეილ ქავთარიას, რომელმაკ გვაუწყა, რომ დღეისათვის მესამე უბის წიგნაკი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არ ინახება, გაბნეულია.

თედო ჟორდანიას „ბის მესამე წიგნაკში გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის გუჯრების ანოტაციებში გვ.121 ანოტაციები დანომრილი იყო და მასში ჩამოთვლილი ყოფილა იოსებ კათალიკოსის ყველა ღვაწლი გელათის სასარგებლოდ. 1. ქ. ...2. გელათისთვის 3. „...დახ-ურვა მინდოდა. ალისუბანი და თხილთანი ყარო ღიბრაძეები დავიხ-სენი დიაღ დიდი ხნის დაკარგული და შემიწირავს... (ფრიად ბევრი) დაიწერა 1776 წ“ (იქვე:345).

გელათს კიდევ უფრო მეტი ყურადღება 1759 წლიდან დასჭირდა, მონასტრისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა ლეკების თავ-დასხმის გამო იყო გამოწვეული. მესამე და უკანასკნელი ლაშქრო-ბა გელათში ლეკებს 1759 წლის 10 აგვისტოს მოუწყვიათ. „ამავე ქრონიკონსა იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა, მრავალი ქრისტიანი იშოვეს, გელათი და საუჯუნის საყდარი დაწვეს. თვესა ი აგვისტოსა“ (ჟორდანია, 1967:260). ლეკების მარბიელი ლაშქარი საჩხერიდან გად-მოვიდა, ეტყობა ეს იყო მოულოდნელი თავდასხმა, მაგრამ რა წაიღეს გელათიდან, ზუსტი ცნობები არ გვაქვს. გელათის გუჯარ-ში გადმოცემულია იმ პერიოდის ქრისტიანთა ღრმა მწუხარება: „ქ. გელათი რომ ლეკმა დასწვა თქვენც (მეფეს) მოგეხსენებათ, ეკლე-სია გაოხრებული იყო, ყოველი მართმადიდებელი ქრისტიანე ვინც იყო და გელათი ენახათ იმ ჟამად სტიროდნენ და კიდეც ეწეოდნენ“ (იქვე:261). ტაძრის ხილვისას ტიროდნენ და მის შესა-კეთებლად შესაწირავს იღებდნენ. ცნობილია, რომ ამ თავდასხ-მის დროს ლეკებმა დაამტვრიეს და გაიტაცეს თეთრი მარმარი-ლოს ძვირფასი საკათალიკოსო ტახტი. მომდევნო 1760 წელს ახალი ტახტი ააგო იოსებ გაენათელმა. აღნიშნული ტახტი დღემდე შემორჩა და მასზე შემდეგი წარწერაა: „მოიხსენე უფალო ტახტისა ამის აღმაშენებელი მეფის ალექსანდრე ძე გენათელი მიტროპოლიტი იოსებ მის წელსა იყო ქრისტეს აქეთ ქკი ჩღი“. მანამდე ამ ადგილზე მარმარილოს ტახტი იყო, რომელიც XVI საუკუ-

ნეში უნდა ყოფილიყო აგებული, ლეკებს თეთრი მარმარილოს გამო ტახტი მოუმტვრევიათ და თან წაუღიათ. (ტახტზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

სოლომონ მეფემ ტახტზე ასვლისთანავე ადამიანებით ვაჭრობას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა, რაც ერთ-ერთი უპირველესი საფრთხე იყო ქვეყნისთვის. 1759 წლის 4 დეკემბერს სოლომონ მეფის ინიციატივით დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება გაიმართა ქუთაისში. კრებას მეფის ძე, გაენათელი მიტროპოლიტი იოსებიც ესწრებოდა. კრების მიზანი იყო ეკლესიის უფლებების აღდგენა და ტყვეთა სყიდვის აკრძალვა. ქვეყნის გაძლიერების საქმეში სოლომონს ეკლესია უნდა დახმარებოდა, სწორედ ამ მიზნით მან ქუთაისში, სადაც უკვე მრავალი წელი მღვდელმთავარი აღარ მჯდარა, გაიმართა საეკლესიო კრება. კრებას ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ბესარიონი (ერისთავი), ხოლო ესწრებოდნენ: ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გაბრიელი, გაენათელი იოსები, შემოქმედელი ნიკოლოზი, ცაგერელი გრიგოლი, მთავარეპისკოპოსი იოსები, ნიკორწმინდელი გერმანე, დასკალის მიტროპოლიტი დანიელი, ხინოწმინდელი მაქსიმე, ბედიელი მიტროპოლიტი მაქსიმე. კრების ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ უმთავრესი მიზანი ამ შეკრებისა ტყვეთა სყიდვის აკრძალვა იყო, რადგან მთელი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები - „ყოველთა იმერთა, ოდიშართა, გურიელთა, სამღვდელო, სამონაზნო მწყობრთა ღმერთსა და ყოველთა საღმთო დასთა შვილობით მოგართვი შენ, მეფე სოლომონ“ (ქრონიკები. 1967.III:263). სოლომონ მეფემ თავისი ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებაზე დაამტკიცა ტყვეთა სყიდვის აკრძალვა, ხოლო დასავლეთ საქართველოს დიდებულებს ღვთისა და ერის წინაშე პირობა დაადებინა, რომ ისინი ამ სამინელ ცოდვაში აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას.

იოსებ გაენათელი იხსენიება 1759 წელს დედოფალ მარიამ დადიანის მიერ ქემიკეთუხუცესს ქაიხოსრო აგიაშვილისადმი გაცემულ წყ-

ალობის წიგნში: „ამისი მოწამე არს გაენათელი ბატონიშვილი იოსებ. კანდელაკი იესე, წულუკიძე ბერი. დაიწერა მდივნის ჩვენის დათუნას ხელით. ქკს. ქრისტეს აქეთ ჩღნთ“ (ქიმ.№ 969).

იოსებ გაენათელს 1760-იანი წლების დასაწყისში თბილისის ჯვრის მონასტრის დეკანოზისთვის რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ გადაწერა დაუკვეთავს, „ქალაქსა ტფილისისასა სანახებსა ჯუარის მონასტერისასა მისივე ჯვარის დეკანოზის იოანესითა“ (ქრონიკები. 1967:017). „ძეგლისწერის“ გადაწერა 1761 წლის 12 ნოემბერს დასრულებულა, გადაწერილ ხელნაწერზე დამკვეთის წარწერა ყოფილა: „აფხაზ-იმერ-გურია-სამეგრელოს, სრულიად ქვემოისა კათალიკოზ იოსები, 1776 წ. 23 მარტი“. როგორც ჩანს, გელათში ეს მნიშვნელოვანი საეკლესიო სამართლის ძეგლი არ ინახებოდა, ამიტომ იოსებმა ჯერ კიდევ გაენათლობის პერიოდში გადააწერინა 1103 წლის რუის-ურბნისის კრების დადგენილებები, რათა მის მიხედვით ეხელმძღვანელათ საკათალიკოსო ტაძარში. ხელნაწერი უნახავს თედო ჟორდანიას და თავისი უბის მესამე წიგნაკში გაუკეთებია შენიშვნა. ამჟამად ხელნაწერი დაცულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. იოსებ გაენათელი დაესწრო 1761 წელს გამართულ საეკლესიო კრებას, რომელზეც აღადგინეს ხონის საეპისკოპოსო და ხონის წმინდა გიორგის ტაძრის „განახლება და განთავისუფლება“ ინებეს. სოლომონ პირველი კრების მოწვევის შესახებ ბრძანებს: „ამაზედ შემოვკრიბეთ: თავად უფალი ჩვენი ყოვლად ნეტარი კათალიკოზი ბესარიონ, უფლისწული ძმა ჩვენი ყოვლად სამღვდელო გენათის მიტროპოლიტი იოსებ, ჭყონდიდის მიტროპოლიტი გრიგოლ, ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე...“ (ქ.ს.ძ.III.1967:845). კრებამ ისეთივე გამოსავალი დაუწესა ხონის ეპარქიას, როგორიც არსებობდა გელათის, ქუთაისისა და ჭყონდიდის ეპარქიებში.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულია თქრომკედით ნაქარგი ენქერი (სულიერი მახვილი), რომელიც გაენათელ იოსებისათვის 1765

წელს შეუწირავთ: „უფალს გენათელს მეფის ძეს. იოსებს, უძღვენ. ენქერი ესე ჩიჩუას ასულმან, აბაშიძის პატს მეუღლემან. თინათინ. შობილი მხევალი შენი ძლიერთ წელთა შენთა შუენიერთა შენთა წარემართე და სუფევად დატევებისათვის ჩღე“ (ნიკოლეიშვილი. 2001:53). როგორ ჩანს, აღნიშნულ ენქერს გაენათელი იოსები ღვთისმსახურების დროს ატარებდა, ენქერის შეწირვა კი მისადმი პატივისცემის გამოვლენის ერთი კონკრეტული შემთხვევაა.

იოსებ ბაგრატიონი მოხსენიებულია ერთ-ერთ დაფარნაზე, რომელიც გელათის ღვთისმშობლის ტაძრისათვის შეუწირავთ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. დაფარნა თეიმურაზ მეორის ქალიშვილის, ანნას მიერ არის შეწირული 1763 წელს: „ხახულის ღვთისმშობელო, მე, უკვე ძრწოლითი მოქენე მმოსავი შენისა დედოფლობისა მეფის თეიმურაზის და სახელ ნათელისა დედოფლის თამარის ასული დაი და სახელოვნის მეფის ირაკლისა, ანნა გიძღვნი მცირესსა შესაწირავსა ნაკერს პერქელთ თან დაფარნით“. იოსებ გაენათელს ანნა ბატონიშვილი ძმად იხსენიებს: „შენდა ჩემშორისობითა ძმისა და თანა სისხლისა ჩემისა იმერთ მეფის ძის გაენათელ იოსებისა თანა დგომითა მიიღე ესე მსხვერპლად სახსენად სულისა ჩემისა“ (იქვე:52). დაფარნის არშიებზე ასომთავრული ასოებით ამოქარგულია წარწერა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან: ქართლ-კახეთის მეფეები თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე, თეიმურაზ მეორის მეუღლე თამარი, ერეკლეს და ანნა, მეფის ძე გაენათელი იოსები, ანნას ძე მამუკა ორბელიანი. დაფარნა თეიმურაზ მეფის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს შეწირული ხახულის ხატისადმი, რადგან ბატონიშვილი თავისი ძმის, ერეკლეს მეფობის „ასამაღლებლად ძმისა ჩემისა მეფისა და კეთილ დასაცველად ძისა ჩემის“ ითხოვს.

გაენათლობისა და კათალიკოსობის პარალელურად იოსები ქმედითად იყო ჩართული სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ იოსებ გაენათელი საკუთარი ძმის, იმერეთის მეფე

სოლომონ I-ის აქტიური მხარდამჭერი იყო პოლიტიკურ ასპარეზ-ზე. ამის დასტურია იმერეთის ელჩობა, რომელსაც იოსებ გაე-ნათელი ხელმძღვანელობდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა ოს-მალეთთან. (მომრიგებლის როლში ერეკლე გამოდიოდა). ახალგაზრდა მღვდელმთავარმა, რომელიც ამ დროს მხოლოდ 27 წლის ყოფილა, საპასუხისმგებლო მისია იკისრა – იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ძალზე გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციაში მას უნდა ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი. სტამბოლში ელჩობა რომ საკმაოდ სარისკო იყო, კარგად ჩანს იოსებ გაენათელის ანდერძიდან: „ქ. ჩემო ძმავო ბატონო საყვარელო მეფე სოლომონ. შენი ძმა გაე-ნათელი მიტროპოლიტი იოსებ ამ ანდერძს მოგახსენებ. ჩემი სიტყვა და ანდერძი ზეპირათაც მომიხსენებია და წიგნათაც მოგახსენებ. ჩემი რაც არის წიგნი ან შესამოსელი ყველა თქვენ გაბარიათ. მე რათგან თქვენის ერთგულებისა და ქვეყნისათვის ამ უსჯულოებში შევალ ვინ იცის რა ამიტყდება. ან მათი ხელით რომ მოხვდეს ჩემი სიკვდილი“ (კაკაბაძე.1914:54). ანდერძის ტექსტიდან კარგად ჩანს იოსების განსა-კუთრებული დამოკიდებულება სოლომონ მეფისადმი, იოსები ანდერ-ძში ეუბნება კიდევაც მეფეს, რომ იგი ოსმალეთში „თქვენი ერთ-გულებისა და ქვეყნისათვის უსჯულოებში“ მიდის, როგორც ჩანს, საფრთხე მართლაც არსებობდა. იოსებ კათალიკოსმა საკმაოდ ახალ-გაზრდა ასაკში ქვეყნისათვის თავდადებული ნაბიჯი გადადგა და ოს-მალეთში გაემგზავრა, რათა შეთანხმებისათვის მიეღწია და ქვეყანა გადაერჩინა. იოსებ გაენათელი ანდერძში ითხოვს, რომ მისი საკმაოდ დიდი ქონება, საეკლესიო შესამოსლები და ძვირფასეულობა შეს-წირონ გელათის მთავარ ტაძარს. იოსებს მისი ოსმალეთიდან არჩა-მოსვლის შემთხვევაში მეფისთვის გაენათელი ეპისკოპოსის კანდიდატ-იც შეუთავაზებია: ,,გაენათლათაც რომელიც ჩვენ მოგახსენეთ თუ თქვენმა გუნებამაც ქნას მისი ყაბული ის დასვით“. ანდერძში კარგად ჩანს, როგორ ზრუნავს იოსები საკუთარ სულზეც და მისი გარ-

დაკვალების შემდეგ ეკლესიაში წესრიგის დამყარებაზეკ: ,,გაენათლად ის დასვით, რომ ჩემს სულსაკ უფრო შეიბრალებს და მოიხსენებს და თქვენი ერთგული იქნება... ძალი და ითანე და სიბრალული თქვენგან ასე უნდა ქონდეს რომ არკ თვისმა სამღვდელომ და საერომ კრებულმა არ აიგდოს და უმსახურობა ვერ გაუბედონ. თქვენი წყალობით ასე გებრალებოდეს საყდრის კეთებას და მუშაობას ნიადაგ უბრძანებდე, დაე გააფთხილებდე". ამ სიტყვებიდან იოსებ ბაგრატიონის ქრისტიანული ღვთისმოშიშება გამოჭვივის. იგი გარდაკვალების შემთხვევაშიკ ზრუნავს, რომ მეფემ ყურადღება მიაქკიოს ახალ მღვდელმთავარს და ამასთანავე ეკლესიის მიწები არ დაიკარგოს „ეკლესიის მამული არ დაიბნას არკ მისგან და არკ თქვენგან", იგი მეფესაკ არ ერიდება და მასაკ შეაგონებს იღვაწოს ეკლესიის საკეთილდღეოდ. იოსებს განსაზღვრული ჰქონია საკუთარი სასაფლაო „იოსების ეკვდერი რომ არის წინამძღვრის ჭიჭინაძის, რომ დამკალებოდა სამარხათ ის მინდოდა და თუ მოვკვდე ამ დროში იმაშიდ დამმარხეთ". ჩვენი აზრით, იოსებ გაენათელს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ღვთისმშობლის შობის მთავარ ტაძარში არსებული წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერი, ან იოაკიმეს და ანას სახელობის ეკვდერი, რომელიკ დასავლეთის მინაშენშია.

ანდერძის მთელი ტექსტი ღრმა რელიგიური სულისკვეთებით არის შედგენილი – „ესენი ღვთის სიყვარულისთვის ქენით და ჩემი სიბრალულისთვის... სასაფლავოს რომელიკ ჩემი ბერი მოგახსენებთ საფლავზე ის დამიყენეთ". მღვდელმთავარი ანდერძში თავის სასაფლაო-ეკვდერს ბარძიმ-ფეშხუმს სწირავს, კოვზ-კამარას, ოქრო-მკედით ნაკერ ყირმიზის ატლასის დაფარნებს, პერქლებს, ოდიკს, მამის ნაჩუქარ ვერკხლის კუბოში ჩადებულ პატარა სახარებას, მოჭედილ ჯვარს, კონდაკს, კურთხევანს, სახარებას, სამოკიქულოს, ჟამნს, „ჩემი პატარა გულანი", სტამბის ზატიკსა და სხვა წიგნებს. სათკრად ამაღელვებელია ანდერძის ბოლო მონაკვეთი, იოსები თავის ძმას ავალებს

საკუთარ სულზე ზრუნვას, რადგან ამით მეფის რწმენაც გამოვლინდებოდა „როგორც ღმერთი გიყვარდეს ან ჩვენ გებრალებოდეთ ისე ჩვენს სულს მოახმარეთ. ჩვენს სულს ნუ დაივიწყებთ... ჩემი სულისთვის რომ სჯობდეს ისე ქენით და გაარიგეთ, ყველა გებრალებოდეს. ჩემო ბატონო მამათ ბატონათ ძმათ სულის და ხორცის მომვლელათ შენ დამიტოვებიხარ და შენ იცი ჩემო ბატონო“ (იქვე:55-57).

ვფიქრობთ, ეს სიტყვები ნებისმიერ ადამიანს შეძრავს, იოსებ ბაგრატიონის ანდერძში ცხადად ჩანს ცოცხალი სარწმუნოება, სულის უკვდავების ნათელი აღიარება და ღვთისმოშიშების უმაღლესი დონე. ანდერძი მრავალი მიმართულებით არის საინტერესო და ძველი საქართველოს ორი დიდებული პიროვნების მეფე-მღვდელმთავრის საოცარ ურთიერთობას გვიცოცხლებს 250 წლის შემდეგ.

სოლომონ მეფის მდგომარეობა ამ დროისათვის ძალიან მძიმე იყო, რადგან 1765 წელს როსტომ ერისთავის ხელშეწყობით იმერეთში მრავალათასიანი არმია შემოიჭრა, მტერმა ქუთაისში ძალით გაამეფა როსტომის სიძე თეიმურაზ ბატონიშვილი. სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს აღნიშნული ელჩობა. „სტამბულში ხელშეკრულების გაფორმება შეფერხდა. სულთანი საქართველოზე სალაშქროდ არმიას ამზადებდა და მოლაპარაკება შესანიღბავად ესაჭიროებოდა“ (მჭედლიძე. კეზევაძე. 2008:197), მაგრამ საბოლოოდ ოსმალეთმა 1767 წლის 26 სექტემბერს ზავი დადო სოლომონთან. სულთანის ბრძანებით დაიდო დროებითი ზავი, რაც კარგად გამოუყენებია მეფეს და მტრის წინააღმდეგ სათანადოდ მომზადებულა. არ არის გამორიცხული ამ დროებითი ზავის დადებაზე 1766 წლის იოსებ გაენათელის ელჩობას რაიმე გავლენა არ მოეხდინა. სოლომონ მეფემ ზავის დადების შემდეგ 1768 წელს იმერეთის ერთგული თანამებრძოლებით ჩხარის ომში ოსმალები თავისი მოკავშირე დადიან–გურიელისა და რაჭის ერისთავის ჯარებთან ერთად სასტიკად დაუმარცხებია. ჩხარის ომში დამარცხებით ოსმალეთის სულთნის დაგეგმილი 1765–1768 წლების დიდი სამხედრო ოპერაცია

სოლომონ მეფის წინააღმდეგ კრახით დასრულდა. სოლომონი კვლავ ტახტზე იყო, სულთნის უმთავრეს მოთხოვნას ტყვეთა სყიდვის აღდგენაზე აღსრულება არ ეწერა (ტყეშელაშვილი. 2016:61–62).

ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იოსებ გაენათელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და მის ელჩობას ერთი წლის შემდეგ სასურველი შედეგი მაინც მოჰყვა. ამ ფაქტს ხელი შეუწყო ასევე რუსეთ–თურქეთის მოახლოებულმა ომმაც, რომელიც 1768 წელს დაიწყო. ეს ომი სოლომონმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

იოსებ გაენათელმა განსაკუთრებული მისია განახორციელა რუსეთ–თურქეთის ომის მიმდინარეობისას. ოსმალეთი შეეცადა იმერეთში სოლომონს კვლავ შეჰქმნოდა პრობლემები, რასაც თან ერთვოდა ბესარიონ კათალიკოსის ვიზიტი ახალციხის ფაშასთან სამხედრო ძალის გამოყოფის თაობაზე. დადიანისა და როსტომ რაჭის ერისთავის წაქეზებით კათალიკოსმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა, მისი ეს ვიზიტი არ გამოჰპარვია სოლომონ მეფეს, რომელმაც ისევ საკუთარ ძმაზე გააკეთა აქცენტი, იოსებ გაენათელი 1769 წელს განსაკუთრებული ვიზიტით იმყოფებოდა ახალციხეში, სადაც იგი შეხვედრია ახალციხის ფაშას, რომელსაც მოსთხოვა კათალიკოს ბესარიონის დაპატიმრება. კათოლიკე მისიონერი ლეონი, რომელიც როსტომ ერისთავის მხარდამჭერი იყო, ამ ვიზიტის შესახებ საუბრობს. მისი ცნობით, იოსები ფარულად და მოულოდნელად ჩასულა ახალციხეში, იგი იოსებს ძალზე უარყოფითად ახასიათებს: „დიდად სახელგანთქმული მონასტრის გელათის სახელწოდების ეპისკოპოსი, კაცი ბოროტი, უსამართლო, ბარბარული, ცრუ... მტერი კათოლიკებისა... იგი თავისი ძმისა, მეფისაგან იყო გამოგზავნილი ფაშასთან დასაზავებლად მხოლოდ იმ პირობით, რომ პატრიარქი ბესარიონი ხელფეხშეკრული გაეგზავნა იმერეთში, თავისი ძმის სოლომონის წინაშე“ (კომუნარი. 1959 №96). მისიონერი ლეონი თავადვე აღიარებს, რომ იოსებ კათალიკოსი მიუღებელია მისთვის, რადგან იგი კათოლიკებს არ სწყალობდა და ამისათვის მღვდელმთავარს

„უსამართლო, ბარბაროსი, ცრუს „უწოდებს. კათალოკოსი ბესარიონი კი მისთვის მისაღებია, რადგან მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ლეონი ამართლებს ასევე ბესარიონის საქცეელს, რომელიც ახალციხე-ში ქვეყნისათვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა. იოსების ვიზიტი ძალზე ნაყოფიერი იყო, რადგან მისი ფაშასთან შეხვედრის შემდეგ კათალიკოსი ბესარიონი ფაშას დაუპატიმრებია.

ბესარიონის დაპატიმრებასთან ერთად ჩაშლილა იმერეთში ჯარის წაყვანისა და სოლომონის ტახტიდან ჩამოგდების ზრახვები. ლეონის ცნობით, იოსებ ეპისკოპოსს თითქოს დაუცინია კათალიკოს ბესარიონ-ისათვის: „უკეთუ ბესარიონ კათოლიკე ხარ, სწორედ ახლაა დრო რომაელი პაპის სარწმუნოება დაგეხმაროს განთავისუფლებაშიო“ (იქვე). რამდენად სარწმუნოა ეს ამბავი, უცნობია, ერთი რამ კი ფაქტია, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურმა სერიოზული დანაშაული ჩაიდინა, ნათესაური კავშირის წყალობით ქვეყნის საწი-ნააღმდეგო მოქმედება დაიწყო და ახალციხის ფაშასთან საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ჯარის ჩამოსაყვანად გაემგზავრა. იოსებ გაენათ-ელის გაბედულმა და სწორმა მოქმედებამ აღკვეთა ბესარიონის არას-წორი მოქმედება, რამაც ასევე როსტომ ერისთავისა და მისი მომხრეე-ბის ზრახვები ჩაშალა. ახალციხეში დაპატიმრებულ ბესარიონ კათალიკოსს შუაღამისას ბუხარი გაუნგრევია, ციხიდან თოკს ჩამოჰყო-ლია და ასე დაუღწევია ტყვეობისთვის თავი. ბესარიონ კათალიკოსი დადიანის კარზე შეუფარებიათ, მან ვეღარ გაბედა საკუთარ სამწყსოში დაბრუნება. სოლომონ მეფეს კი კათალიკოსი ამგვარი ქმედების შემდეგ თანამდებობიდან გადაუყენებია. სწორედ ბესარიონის ტახტიდან გადაყ-ენების შემდეგ სოლომონ მეფე დგამს უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს და თავის ერთგულსა და დიდად ნამსახურევ ძმას, იოსებს, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად აღაზევებს.

სოლომონს თავის უმცროს ძმასთან განსაკუთრებული დამოკ-იდებულება აკავშირებდა. ბრძანებს კიდეც ერთ-ერთ სიგელში: „მრ-

ჩობლისა ცხოვრებისა სასო ჩვენი უფლისწული მრწემი ძმა ჩემი“. მათი ერთობლივი მოღვაწეობა ნაყოფიერი აღმოჩნდა ქვეყნისთვის, სოლომონ მეფეს გვერდით ედგა ერთგული უმცროსი ძმა, რომელმაც არაერთხელ დაუმტკიცა თავდადება. მან 1766–1769 წლებში ორჯერ განახორციელა ელჩობა ოსმალეთის იმპერიაში და ამით ქვეყანას დიდი სამსახური გაუწია, მისი ამ ვიზიტების შედეგი იყო სოლომონ მეფის კვლავ იმერეთის ტახტზე დარჩენა და ქვეყნის ორგულთა ზრახვების (სამეგრელოს, გურიის და რაჭის მმართველთა) ჩაშლა. საბოლოოდ კი ოსმალეთმა სოლომონი ტახტიდან ვერ ჩამოაგდო და ამასთანავე მტერმა ვერ შეძლო დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვის აღდგენა. 1769 წლის მოვლენებმა დააჩქარა იოსებ ბაგრატიონის საკათალიკოსო ტახტზე აღზევება. რომ არა ეს მოვლენები, შესაძლოა იგი ვერ გამხდარიყო კათალიკოსი, რადგან მას ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. იოსებ გაენათელის კიდევ ერთმა თავდადებულმა ნაბიჯმა ორმაგი სარგებელი მოიტანა – იხეირა ქვეყანამაც და ეკლესიამაც. 1769 წლიდან იოსებ ბაგრატიონის ცხოვრებაში დაიწყო ახალი პერიოდი, რომელიც საკმაოდ მძიმე გამოდგა, თუმცა მან თავისი კათალიკოსობის მცირე პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი საქმე აღასრულა.

იოსებ გაგრატიონი – აფხაზეთის კათალიკოსი 1769-1776 წწ.

1769 წლის 10 მაისს სოლომონ მეფემ ოსმალეთთან ურთიერთობის გამო აფხაზეთის კათალიკოსობიდან გადააყენა ბესარიონ ერისთავი, მეფის მხრიდან ასეთი რადიკალური ზომების მიღება გასაკვირი არ არის, რადგან კათალიკოსმა ქვეყნის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა, რასაც შესაძლოა ძალიან მძიმე შედეგი მოჰყოლოდა. ბესარიონ კათალიკოსმა ოსმალეთში წასვლითა და მტრის ჯარის მოთხოვნით დაარღვია საერო და საეკლესიო კანონები, მეფეს სრული უფლება ჰქონდა კათალიკოსის გადაყენებისა. ისედაც, ჩადენილი საქციელის გამო, მას აღარ მიესვლებოდა იმერეთში კათალიკოსის რეზიდენცია გელათში, ამიტომ მან მეფის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, ოდიშის მთავარს შეაფარა თავი. (საერთოდ კათალიკოსთა ოდიშში გადასვლა პოლიტიკური თვალსაზრისით ხდებოდა, რაც არ იყო მართებული, რადგან კათალიკოსი ამის შემდეგ ოდიშის მთავრის ნება-სურვილის აღმსრულებელი გამოდიოდა. მას პირველ რიგში იმერეთის მეფის წინააღმდეგ უნდა ემოქმედა (ამგვარ შემთხვევას ადგილი XVII საუკუნეშიც ჰქონდა). მეფის საწინააღმდეგო მოქმედებაში ბესარიონი ადრეც იყო შემჩნეული, თუმცა მაშინ სოლომონ მეფეს რადიკალური ნაბიჯი არ გადაუდგამს. სოლომონ მეფის ბიძები – როსტომ რაჭის ერისთავი და ბესარიონი – სოლომონის ტახტზე ასვლიდან მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში არიან, არაერთი მცდელობის მიუხედავად, სოლომონი მეფობიდან საბოლოოდ ვერ ჩამოაცილეს. ბესარიონ კათალიკოსის ახალციხის ფაშასთან ჩასვლა 1769 წლის გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო, სწორედ ამ პერიოდში ჩასულა ახალციხეში იოსებ გაენათელიც, აქედან გამომდინარე, ბესარიონის გადაყენება გაზაფხულზე მომხდა-

რა. საბოლოოდ კი სოლომონ მეფემ უპატიებელი შეცდომა კათალიკოსს აღარ აპატია და მისთვის ერთგულ პიროვნებაზე გააკეთა აქცენტი.*

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი იოსებ ბაგრატიონი გახდა, იგი ამავდროულად გაენათელი მღვდელმთავარიც იყო. მისი კათალიკოსად კურთხევა გელათში მომხდარა. იოსებ ბაგრატიონი კათალიკოსად უკურთხებიათ 1769 წლის 10 მაისს გელათის მთავარ ტაძარში, ამ ფაქტის შესახებ გვაუწყებს მღვდელი იოანე ხოჯაშვილი: „1769 წ. 10 მაისი მეფე სოლომონის ძმა იოსები კათალიკოზათ აკურთხეს გელათსა“ (საქ. ისტ. ქრონიკები.1980:253). კათოლიკე მღვდელი იოანე (ხოჯაშვილი) თავის ქრონიკაში 1763-1809 წლის მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს. მისი ცნობები იოსებ ბაგრატიონის შესახებ მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის.

მეფის ძე იოსები კურთხევის დროს 30 წლის იყო, მის საკათალიკოსო ტახტზე ასვლას სოლომონ მეფის კიდევ უფრო გაძლიერება

*1769 წლის გაზაფხულზე ბესარიონ კათალიკოსი სოლომონ პირველმა გადააყენა და მის ადგილზე საეკლესიო კრებამ აღნიშნული წლის 10 მაისს მეფის ძმა გელათის მიტროპოლიტი იოსები აკურთხა (სოსელია. 1973. 103). ამ დროს ბესარიონი უკვე ოდიშში იყო გადახვეწილი და მისი კათალიკოსობა არაკანონიკურად ითვლებოდა, რადგან მას აღარ შეეძლო საკათალიკოსო ტაძარში (გელათის წმინდა გიორგი) მსახურება, ამასთანავე კათალიკოსი საეკლესიო კრების მიერ გადაყენებულ იქნა. 1769-73 წლებში ბესარიონი ოდიშის სამთავროს კათალიკოს-პატრიარქად გვევლინება და თავისი ქმედებით პრეტენზიას აცხადებს დაექვემდებაროს დასავლეთ საქართველოს ერთიან საეკლესიო მმართველობა. აღნიშნულ წლებში დასავლეთ საქართველოში ორი კათალიკოსი იჯდა. იმერეთში იოსები და ოდიშის სამთავროში ბესარიონი, ყოველივე კი სამეფოში არსებული პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული. 1773 წლის 15 დეკემბერს ბესარიონ კათალიკოსი გარდაიცვალა და იოსებ კათალიკოსი „ერთპიროვნული მმართველი“ გახდა (რობაქიძე.2005:112-124)

უნდა მოჰყოლოდა. სინამდვილეში მართლაც ასე იყო, მეფემ ეკლესიას ჩამოაცილა უღირსი კათალიკოსი, რომლის მმართველობა სახიფათო იყო ქვეყნისთვის და მის ნაცვლად არჩევანი გააკეთა ღირსეულ სასულიერო პირზე – თავის უმცროს ძმაზე. ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ მეფურმა წარმომავლობამ გახადა შესაძლებელი იოსების ესოდენ დაწინაურება, რადგან საეკლესიო საკითხებში იგი შეუვალი იყო და ეკლესიის გასაძლიერებლად არავის მოერიდებოდა. იოსები, როგორც გაენათელი მღვდელმთავარი, ისედაც მეფის აქტიური მხარდამჭერი იყო, თუმცა აუცილებელმა გარემოებამ შესაძლებელი გახადა იოსების კიდევ უფრო აღზევება. კათალიკოსის ტახტზეც იოსებ ბაგრატიონმა გააგრძელა ნაყოფიერი მოღვაწეობა, მას უკვე უფრო მეტი შესაძლებლობები გაჩნდა აქტიური მოღვაწეობისათვის.

იოსებმა აქტიურად დაიწყო მოქმედება საკათალიკოსოს გასაძლიერებლად, მან 1770 წელს ბიჭვინთის ღვთისმშობელს მამულები შეწირა თავის გლეხებით: „ამათ ესოდენთა ზეგარდამთ ნიჭთა მიერ მონებად ღმრთისა ღირსქმნილმან ჩრდილოსა აფხაზეთისა და ყოვლისა იმერეთისა კათოლიკოს ბატონიშვილმან იოსებ განვიხილენ გულმოდგინედ და განმკაცრებით ვსაჯენ, რათა მრავალჟამ ვითარებით შემიცრებულსა მამულსა ჩვენსა სამართლით შემატებოდა და დანაკლები სრულ ქმნილიყო“ (ქ.ს.ძ.III.1970:883). იოსებ კათალიკოსს გულმოდგინედ განუხილავს ყველაფერი და ისე შეუწირავს ბიჭვინთის საკათალიკოსოზე დანაკლისი მამულები. კათალიკოსი ხაზს უსვამს, რომ ის სამოციქულო ეკლესიის ტახტზე ზის: „დიდებად ღთისმშობელისა და შეძინებად საყდრისა ჩემისა, რომელ არს საყდარი პირველწოდებულისა ანდრია მოციქულისა და მასზედა განსვენებულსა ღვთისმშობელისად ბიჭვინტისა“ (იქვე:884). სიგელს ამშვენებდა ბეჭედი „მეფის ძე იოსებ“ და ხელრთვა „მეფის ძე იოსებ“.

იოსებ კათალიკოსის დაკვეთით გელათში 1772 წლის 12 დეკემბერს ხუცეს-მონაზონმა ზაქარია გაბაშვილმა დაასრულა იო-

ანე ოქრომპირის „საღმრთო ჟამის წირვის“ გადაწერა. თხზულებას წინ უძღვის სამი ფერის (წითელი, ლურჯი მწვანე) ასოებით შესრულებული წარწერა, რომლითაც დასტურდება, რომ ხელნაწერი ნამდვილად იოსების დაკვეთით არის შესრულებული. „ბონტო: ჩრდილოისა: და აფხაზ: იმერთა: ყოვლიბსა: კათალიკოზ: მამად: მთავარმან: ძემან: ალექსანდრე: დიდისა: მეფეთ: მეფისმან: წყალობითა: ღვთისათა იოსიფ: აღვაწერინენ: წმიდანი: ესე სამნი: ლიტურგიანი: ბერძენ: როსთა: ს-პატრიარხოთა: ლიტურღიისათა: თანა: შემოწმებითა: სავსებითა: საუკუნოდ: მოსახსენიებლად: ჩემდა: ქ-ს აქათ: ჩღობ: დკენბერი: იბ:“ (ქრონიკები. 1967:343). ეს მინაწერი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იოსებ კათალიკოსს იმ დროისათვის ძალიან დიდი საქმე შეუსრულებია – ქართული, ბერძნული და რუსული საღვთო ლიტურგიები ერთმანეთისთვის შეუდარებიათ, რაც ურთულესი საქმე იყო, და ისე გადაუწერიათ. იმავეს ადასტურებს ამ საქმის უშუალო შემსრულებელი ზაქარია გაბაშვილი, იგი გადამწერის ანდერძში საუბრობს ამის შესახებ: „ვიმუშაკენ, აღვწერენ, წმინდანი ესე სამნი ლიტურგიანი. გამოხატვითა წმიდათა სამთა მღვდელმთავართა ხატთათა, თანად შეზავებითა, ოქრო-თხზულწერილ ასომთავრულითა: ბრძანებითა აფხაზიმერთა უყოვლითადესისა, და უფროისად ბრძნისა, დიდისა უფლისა მეფეთ მეფის ძის იოსიფ კათალიკოზ მამთავრისათა“ (იქვე:344). ზაქარია გაბაშვილს გელათის დიდი ეკლესიის ეზოში შეუსრულებია ეს უდიდესი საქმე, იგი მკითხველისგან შენდობას ითხოვს – „და თუ რაიმე ცთომილი ჰპოვოთ სიმშვიდით განმართეთ, რამეთუ სამეოცე დახუთის ჟამისა წელნი წარმევლინეს, და მოხუცე მხცოვანებით მხედველობითნი უძლურ ქმნილ იყვნეს“.

ზაქარიასთან ერთად თვით კათალიკოსი იოსებიც მონაწილეობდა ტექსტის გამართვაში: „ერთობით ვიღვაწეთ და თანა შევაწამენით ბერძენ როსიისა საპატრიარხოთა ლიტურღიათა“. იოსებ კათალიკოსი გელათის აღდგენა-გამშვენიერებასთან ერთად ღვთისმსახურების

სრულყოფასა და სწორად აღსრულებაზეც ზრუნავდა, რაც მის კიდევ ერთ დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ. იოსებ კათალიკოსი იხსენიება 1772 წლის 15 იანვრის სიგელში, წყალობის წიგნი გაუცია სოლომონ მეფესა და დედოფალ მარიამს მღვდელ დავით იაშვილისადმი (ქიმ. №. 818).

1774 წელს კათალიკოსი იოსები კვლავ სწირავს მამულებს ბიჭვინთის ღვთისმშობელს: „ჩვენ წყალობითა ღმრთისათა, პონტო-ჩრდილო და აფხაზ-იმერთა სავსებისა კათალიკოზ მამამთავარმან და ძემან მეფისმან იოსებ შენ ბიჭვინტისა ღვთისმშობელს შემოგწირეთ და დავამტკიცეთ ჟამთა და წელთა სიგრძესა და შინა შეუცვალებლად“ (კაკაბაძე, 1921:47). სანავარდოში მცხოვრებ დიაკონ გიორგი მჭელიძეს, რომელიც უშვილო ყოფილა, კათალიკოსისათვის უთხოვია გრიგოლ კათალიკოზისაგან ადრე შეწირული ოთხი ძმა: გვარამია დავითელა, ბუჭუა, ხოსია და გაბრიელა, რომელთაც ენდა ემსახურათ გიორგი დიაკონთან, სანამ ცოცხალი იქნებოდა, შემდეგომში კვლავ ბიჭვინთის ღვთისმშობლის საკათალიკოსო ყმები იქნებოდნენ. რის გამოც იოსებ კათალიკოსი შეწევნას ითხოვს: „შეიწირე ღმრთისმშობელო და ჩვენისა საფარველისა მტკიცისა შეწევნისა შენისათა დაგვიცენ“. ამ საქმისთვის, როგორც ჩანს კათალიკოსი თავად იყო ჩასული სანავარდოში. აღსანიშნავია, რომ თავისი ცხოვრების ბოლო დღეები კათალიკოსმა იოსებმა სანავარდოში გაატარა როგორც ამას მღვდელი იოანე ხოჯაშვილი თავის დღიურებში წერს.

იოსები ახალი ასული იყო საკათალიკოსო ტახტზე, როდესაც სოლომონ მეფესა და როსტომ რაჭის ერისთავს შორის ურთიერთობა მეტად გამწვავებულა. როსტომ ერისთავი წლების მანძილზე უპირისპირდებოდა მეფეს და ქვეყანას მრავალჯერ შეექმნა საფრთხე მის გამო. როსტომ ერისთავი სამეგრელოს მთავართან ერთად ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა სოლომონ მეფის გაძლიერება. რაც ყველაზე საშიშარი იყო, როსტომი და მისი ძმა, კათალიკოსი ბესა-

რიონი, ოსმალეთთან იყვნენ კავშირში და მტრის დახმარებით ემუქრებოდნენ სოლომონ მეფეს. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა კათალიკოსმა პირადად იკისრა სოლომონ მეფისა და როსტომ რაჭის ერისთავის შერიგება. ამ ფაქტის შესახებ ცნობები დამყარებულია ძირითადად ზეპირ გადმოცემებზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიკო კანდელაკის ჩანაწერი ზეპირ-გადმოცემული თანამედროვეთაგან, პაპის ჩანაწერით ისარგებლა შვილიშვილმა სიკო კანდელაკმა და იგი 1895 წელს გამოქვეყნდა შემდეგი სათაურით: „იმერეთის მეფე სოლომონ დიდი“, რომელშიც თითქმის დეტალურადაა გადმოცემული მეფესა და ერისთავს შორის მომხდარი დაპირისპირება. ამ დაპირისპირების შესახებ საუბრობს ასევე არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი), რომელიც მას ჩაუწერია 1902-1903 წლებში, როდესაც რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა. სიკო კანდელაკის მიხედვით შერიგების ინიციატორი სოლომონ მეფე ყოფილა. ამბროსი ხელაია ინიციატორად იოსებ ბაგრატიონს ასახელებს. დავით ბატონიშვილის მიხედვით კი „როსტომ ერისთავი ევედრა მეფეს შეცოდების მიტევებას“. თუმც ჩვენთვის მთავარია, რომ კათალიკოსმა იოსებმა თავისი ავტორიტეტის გამოყენებით სცადა კონფლიქტი მშვიდობიანად მოეგვარებინა.

მშვიდობისმყვარე კათალიკოსს, როგორც ჩანს, მოწონებია მეფის აზრი და შუამავლობაც უკისრია. სიკო კანდელაკი გვაუწყებს, რომ მეფესთან შეხვედრის შემდეგ იოსებ კათალიკოსი ქაიხოსრო აბულაძესა და მხლებლებთან ერთად გამგზავრებულა რაჭაში. როსტომ რაჭის ერისთავი აზნაურებთან ერთად ნიკორწმინდის ტაძართან დახვედრია სტუმრებს. მათ თაყვანი უციათ კათალიკოსისათვის, ერისთავს კი ერთი მარქაფა ბედაური ძვირფასი უნაგირითა და რახტით აღკაზმული მიუგებებია. შემდეგ ამბროლაურის სასახლეში მისულან, საღაც ზარების რეკვითა და ჯვაზაირების სრთლით დახვედრიან. მას ჯერ კარის მწირველი სასახლის მთძღვარი იოანე ჯვრით ხელში და

ერისთავის შვილები შეხვედრიან. ჩამოქვეითებული კათალიკოსისათვის წინამძღვარს შესხმა მოუხსენებია: „მღვდელმთავრობისა კვართითა შემკობილმან ღვთის მეცნიერად ქადაგე შენ სახარება სასუფევლისა იოსებ და მართლმადიდებლობისა სწავლანი აღმოთქვენ და ეკლესია განამდიდრე მოძღვრებითა“ (იმერეთის მეფე სოლომონ დიდი.1895:31). სამღვდელოება და ხალხი საეკლესიო ბაირაღებით შეგებებია იოსებს, როგორც კათალიკოსს და როგორც ბაგრატიონს მეფის წესისაებრ დახვედრიან. ერისთავის შვილებს გალობით შესხმა მოუხსენებიათ:“იესო მთავარი მშვიდობისა მოვიდა დღეს“. კათალიკოსი ტაძარში შესულა, საკურთხეველში ტრაპეზს მთხვევია და შემდეგ ორივე ხელით ჯვარი გადაუსახავს იქ მყოფი ხალხისათვის.

შემდგომ კათალიკოსსა და ერისთავს შორის გამართულა საუბარი: „უკეთუ მეფეს მეფობა არ გაუვა, უნდა დატოვოს მეფობა მისი და შენ კი ერთ დიდებულ თავათდაგანი არ ემორჩილები. ეს სამარცხვინო საქმე არის მეფისათვის, გარეშე მტრები რომ გაიგებენ ამას შემოესევიან სამეფოს და ქრისტიანობა შეირყევა. მართალია შენი დამორჩილება არ გაუჭირდება მეფეს, მაგრამ ბევრი უბრალო სისხლი დაიქცევა და ამას ერიდება. როგორც სულიერი მამა, გირჩევ, დაფიქრდი ამაზედო“(იქვე:32). კათალიკოსმა ამხილა როსტომი და მას სწორი მოქმედებისაკენ მოუწოდა, რადგან რაჭის ერისთავის ქმედებას მტრის შემოსევა და სარწმუნოების დაკნინება მოჰყვებოდა. შესაძლოა სიკო კანდელაკის ჩანაწერში უშუალო თვითმხილველის ცნობებია ასახული, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი დეტალური ინფორმაციის გადმოცემა გაჭირდებოდა. როგორც ჩანს, როსტომ რაჭის ერისთავმა მეფისაგან სიცოცხლის გარანტია, ხოლო კათალიკოსისაგან ბარძიმზე დაფიცება მოითხოვა. იოსებ კათალიკოსი ქუთაისში დაბრუნებულა და მეფისათვის მოუხსენებია ყოველივე: ერისთავს „ცხადია, რომ მხოლოთ სიკვდილის ეშინია“. რაზეც მეფეს უპასუხია: „გაძლევ სიტყვას და ვფიცავ შენს ხახულის ღვთისმშობელს არც ის და არც მისი შვილები არ

მოვკლა და ისეთი პატივსცემითაც მივიღო, რომ საარაკოთ დარჩესო“.

ამბროსი ხელაიას ცნობით კი როსტომი და რაჭის დიდებულები წმინდა გიორგის მთაზე დახვედრიან კათალიკოსს და სოფელ წესში გამართულა მოლაპარაკება კათალიკოსსა და ერისთავს შორის. შემდეგ კათალიკოსს ბარაკონის ტაძარში უწირავს და დიდი გამოსვლის დროს, როდესაც გადასცეს მას ბარძიმი, არწმუნებს როსტომს, რომ მეფისაგან არ მოელის ვნება: „რომ მეფე მას არ უღალატებს და არ მოკლავს მას და მის შვილებს“ (ამბროსი ხელაია.2011:434). დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ ბარძიმზე დაფიცება მოხდა არა ბარაკონში, არამედ თითქოს მეფემ ვარციხეში მიიწვია როსტომი, სადაც სწირა კათალიკოსმა და „შეჰფიცა მეფემან ბარძიმსა ზედა უვნებლობაი“ (დავით ბატონიშვილი.1905:19). ალბათ ნაკლებ სარწმუნოა, რომ როსტომ რაჭის ერისთავი გარანტიის გარეშე ვარციხეში ჩასულიყო, ბარძიმზე დაფიცება მართლაც ბარაკონში მომხდარა, რომლის შემდეგაც მიიღო როსტომმა იმერეთში წასვლის გადაწყვეტილება. სიკო კანდელაკის მონათხრობის მიხედვით იოსებ კათალიკოსი მეფესთან მოლაპარაკების შემდეგ ხელმეორედ წაბრძანდა რაჭაში და ბარძიმზე ხელის დადებით დაარწმუნა ერისთავი. მეორე დღეს კათალიკოსსა და ერისთავს სადილი ტყიბულში მიუღიათ, ღამე ქაიხოსრო აგიაშვილის საზაფხულო სადგომში გაუთევიათ ცუცხვათს, იქედან კი სოლომონ მეფეს უნდა ხლებოდნენ ვარციხეს*.

*ვარციხეში მისვლის შემდეგ როსტომ ერისთავს სასახლე მიუჩინეს, თუმცა არ უსურვებია, რადგან საკმაო ნაბდის კარვები ჰქონიათ წამოღებული. ლხინი იმერეთში ოცი დღე გაგრძელებულა. ერთ ღამეს სოლომონ მეფეს საიდუმლო კარისკაცები შეუკრიბავს და განუცხადებია: ვერ ხედავთ, რა სიფრთხილით გვეკიდება ერისთავიო. მაგის გული არ გასწორდებაო, კიდევ ბევრს ცუდს შეგვამთხვევს და დრო არის, ქვეყნის მოღალატეს ახლავე საკანონო მოვახდევინოთო“. თათბირზე ერთმანეთს შორის ვერ შეთანხმდნენ. როგორც ჩანს, როსტომ რაჭის ერისთავი თავისი ქმედებითა და საქციელით არავითარ სინანულს არ

როსტომისა და მისი შვილების დასჯის ამბავი იოსებ კათალიკოსს გელათში შეუტყვია, რის გამოც სამინელ დღეში ჩავარდნილა: „წაიშინა თავ-პირში ხელები და წვერ-ულვაში დაიგლიჯა. შეიმოსა ძაძით და გაცხარებული მიეჭრა მეფეს ქუთაისში, სიკო კანდელაკი გადმოგვცემს: „მეფემ თვალცრემლიანი კათალიკოსი რომ დაინახა, მიაყ-

გამოხატავდა, რამაც ალბათ გამოიწვია მეფის მხრიდან უმკაცრესი სასჯელის გამოტანა. შესაძლოა სოლომონ მეფეს თავიდანვე ჰქონდა ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული, თუმცა ცხადია, რომ მეფე ამ ნაბიჯს როსტომზე დაკვირვების 20 დღის გასვლის შემდეგ დგამს. აღსანიშნავია, რომ იმ ღამეს, თათბირის შემდეგ, სოლომონ მეფეს საიდუმლო მოხსენება გაუკეთა პაპუჩა აბულაძემ. სწორედ ამ საუბრის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, როგორც ჩანს. ჩვენთვის უცნობია, რა საფრთხეზე ესაუბრა პაპუჩა აბულაძე მეფეს, რამაც დააჩქარა სასჯელის აღსრულება. მეორე დღეს მეფემ და ერისთავმა გადაწყვიტეს წასულიყვნენ თავად იაშვილთან კურდღელზე სანადირობდ. მოღალატე შეიპყრეს და დასაჯეს. როსტომსა და მის შვილებს ოთხ-ოთხი კაცი სცემია და დაუმორჩილებია, ბოლოს კი მომხდარა გიორგის დამორჩილება, რომელსაც მივარდნილა თეიმურაზ ორჯონიკიძე ძმის სისხლის ასაღებად და დანით თვალები ამოუჭრია. მიხეილ რეხვიაშვილის მიხედვით, გიორგი ცალი თვალით იქნა დაბრმავებული, შემდეგ კი ოსმალეთის სულთნის სამსახურში ჩამდგარა, ბოლოს იგი საქართველოში დაბრუნებულა და ოსებთან შეტაკების დროს გლოლაში დაღუპულა 1787 წელს. როსტომი, მეთოდი, ცაგუნი, კუხნიცი, გივი, ბარძიმი და სვიმონი თოკებით შეკრულნი ხედავდნენ გიორგის თვალების ამოჭრას, რომლის შემდეგაც მათი ჯერიც დამდგარა. პირველად როსტომს დასთხარეს თვალები, შემდეგ შვილებს. ხალხის გადმოცემით, როსტომის ერთი შვილთაგანი ამ დროს მკერდწლოვანი ყოფილა, მეფის ქალს შებრალებია და თავისთან დაუტოვებია, მაგრამ ქაიხოსრო წერეთლის ბრძანებით ისიც დაუბრმავებიათ. იგივე ბედი გაუზიარებია როსტომის შვილს მეთოდის, რომელიც ბერად ყოფილა აღკვეცილი, მაგრამ როსტომისა და მისი შვილების დაბრმავების შემდეგ ბერობა დაუტოვებია და ოსმალთა ჯარით იმერეთში ორჯერ (1772, 1774) შემოსულა. მეფეს მასთან ბრძოლაში გაუმარჯვია და მასაც ძმების ბედი გაუზიარებია – მეთოდესთვისაც დაუწვავთ თვალები.

ვირა, რა ამბავია კათალიკოსთვთ? მე დღეს კათალიკოსი აღარ ვარ, არამედ იუდა ისკარიოტელი, ჭეშმარიტების გამცემელი... სად არს შენი აღთქმა და რათ გამატეხინე ფიცი მე ცოდვილს! რაზეც მეფეს უპასუხია: მე დიაღაც ავასრულე ჩემი სიტყვა, როგორც აღგითქვი, სიკვდილით არ მომიკლავს და საარაკოდაც მოვიქეცეთ“ (იქვე:49).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვეყნის უმაღლესი მმართველისა და ეკლესიის უმაღლესი იერარქის სხვადასხვა ხედვებთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხორციელი ძმები იყვნენ, ორივე ამ მოვლენას აფასებდა საკუთარი ინტერპრეტაციით, მეფე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო კათალიკოსი, როგორც ღმერთთან ანგარიშვალდებული. ამავდროულად მეფე საკუთარ ქმედებას აღთქმის დარღვევად არ მიიჩნევდა, რადგან მას სიკვდილით არ დაუსჯია ისინი, მისი ქმედება კი მართლაც საარაკოდ შემორჩა დღემდე. მეფის ამგვარი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რადგან როსტომ რაჭის ერისთავი მრავალჯერ განუდგა მეფეს და სოლომონის გამეფებიდან 1752 წლიდან მოკიდებული მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებათა მთავარი ინიციატორი იყო (ტყეშელაშვილი 2016:123).

ცნობილია, რომ სოლომონ მეფეს ტახტის დაბრუნების შემდეგ 1753 წელს როსტომი შეუწყალებია. როსტომი მეფეს განუდგა ხრესილის ბრძოლაშიც 1757 წელს, როცა მან მტრის, ოსმალების მხარე დაიჭირა და ბრძოლაში დამარცხების შემდეგ გაქცევით უშველა თავს. თუმცა ამის შემდეგაც შეურიგდა მეფეს, მაგრამ 1761 წელს, ოსმალთა ახალი ლაშქრობის დროს, მან კვლავ მტრის მხარე დაიკავა: „კვალადცა მსგავსებითა იუდასითა აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა, და მრავალგზის შემოება ჯარსა მეფისასა, და ესე ვითარ დაუცხრომელითა ორგულებითა მისითა, მრავალნი ქრისტიანენი სამღვდელონი და საერთნი დააკლდნენ სიცოცხლესა, უკანასკნელ მისცა ღმერთმან ორგული იგი ყოვლისა სამეფოსა და მამულსა ხელთა მეფისა სოლო-

მონისათა. მიუღო მეფემან ციხენი და მამული რაჭისა ნასისხლად მეფობისა თვისისა და დააკლო იგი სახედველთა შვილებით თვისით და დასდვა წერილი წყევით და შეჩვენებით მსოფლიოთა პატრიარხთაგან, რათა დასასრულამდე ქვეყნისა ძენი და ძის ძენი და შთამთმავალნი მათნი არღა რა მიღებულ ქმნენ მემკვიდრედ რაჭისა“ (საქართველოს სიძველენი. 1910:570).

ასეთია თანამედროვეთა თვალთახედვა, როსტომი შეფასებულია მეფისა და ქვეყნის ტიპიურ მოღალატედ, რომელმაც „მსგავსებითა იუდასითა“ განუდგა მეფეს და „მისცა ფიცი უსჯულოთა მახმადიანთა“ და მტერს შემოუძღვა, რამაც გამოიწვია მრავალი ქრისტიანის სისხლის დათხევა. აღნიშნული სიგელი განახლებულა მეფე სოლომონ II-ის მეფობის დროს 1804 წელს, რომელზეც მეფე სოლომონთან ერთად ხელს აწერენ ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, მთავარეპისკოპოსები: ანტონი, მაქსიმე, სოფრონი.

კათალიკოს იოსების მცდელობამ ამაოდ ჩაიარა, მეფესა და კათალიკოსს შორის გარკვეული უთანხმოება ჩამოვარდა როსტომის დასჯის გამო, თუმცა შემდგომ პერიოდში სოლომონ მეფე და კათალიკოსი იოსები შერიგდნენ და მათი ერთობლივი მოღვაწეობა ქვეყნის საკეთილდღეოდ კვლავ გაგრძელდა. გავრცელებული ცნობა, თითქოს იოსებ კათალიკოსი ამის შემდეგ კათალიკოსობიდან გადადგა, არ დასტურდება (ტყეშელაშვილი. 2016:125). პირიქით, იოსები საკმაოდ ნაყოფიერად აგრძელებს მოღვაწეობას, რასაც მოწმობს არაერთი საბუთი, რომელზეც იოსები კათალიკოსის რანგშია მოხსენიებული. როსტომ ერისთავის დასჯიდან, (რომელიც 1769 წლის სექტემბერში მომხდარა) რამდენიმე თვეში სოლომონ მეფე და კათალიკოსი იოსები ერთად არიან. 1770 წლის ზაფხულში მიმდინარეობდა ქუთაისის ციხის აღება, ქართველებს შიგა ციხის აღებაში რუსები ეხმარებოდნენ, ამ დროს მათ შორის რაღაც დაპირისპირება მომხდარა. ამის შესახებ გვაუწ-

ყებს „ახალკიხური ქრონიკები“, რომლის მიხედვითაკ: „მეფე სოლომონ, კათალიკოზი და სხვა ქართველებიკ რუსის ჯარს შემსოწყრნენ და ქუთაისითგან წავიდნენ“ (საქ. ისტ.ქრონიკები.1980:255).

ეს ფაქტი მომხდარა 1770 წლის 25 ივლისს. იოსები კათალიკოზის ტიტულითაა მოხსენიებული 1770 წლის 1 ივლისის საბუთში, რომლის მიხედვითაკ ბატონისშვილი გიორგი მეუღლის მზეხათუნ დადიანის გარდაკვალების გამო და მისი ძე დავითი ჯრუჭის უდაბნოს სწირავენ ერთ ოჯახს, სიგელში მოწმედ დასახელებულია „კათალიკოზი ბატონისშვილი იოსებ, არქიმანდრიტი ქრისტეფორე და ერთობით კრებული“ (ქიმ. №196). იმავე წელს 9 ივლისს გაკემული სიგელში, რომელიკ დაკულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში, ნათლად დასტურდება, რომ იოსები კათალიკოსია: „ნებითა ღვთისათა ჩვენ კათალიკოსმან ჩრდილოს აფხაზეთისმან და ყოვლისა იმერეთისა მეფის ძე იოსებ თანა შემწეობით ჩვენის ყოვლად სამღვდელოს ქუთათელ მიტროპოლიტისა მაქსიმესითა ვსაჯეთ და განვაწესეთ“ (ქიმ.№ 912). კათალიკოსი იოსები სიგელის მიხედვით მოქმედი მამამთავარია და მან ქუთათელ მაქსიმესთან ერთად განსაჯა და განაწესა ბერიკელა მერაბიშვილის საქმე, რომელსაკ საყდარი გაუტეხავს და „ბიძა ჩვენის მამუკა ბატონიშვილის მიკვალებულის გაძარკვა თავს დაედვა. დიაღ დიდი საატანჯველის ღირსი იყო მაგრამ ჩვენ ისევ საყდარს სამსახური და ბეგარის დადება ვამჯობინეთ“. დამნაშავეს ვანის მაკხოვრის ეკვდრისთვის საკანონოდ ბეგარა უნდა გადაეხადა. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ სოლომონ მეფე და კათალიკოსი იოსები ერთად იღწვიან ქვეყნის საკეთილდღეოდ და მათ შორის ურთიერთობა გრძელდება. მეფესა და კათალიკოსს შორის კვლავ მომხდარა უკმაყოფილება, მღვდელი იოანე გადმოგვკემს, რომ 1773 წლის 24 მარიობისთვის (აგვისტო) „კათალიკოზს მეფე გაუწყრა“.

როგორკ ზემოთ აღვნიშნეთ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იოანე მღვდელი პირადად იკნობდა კათალიკოს იოსებს, რითაკ კიდევ

უფრო სარწმუნოა მისი ცნობები იოსებთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს: „კათალიკოზი ვნახე ქუთაისს“, „კათალიკოზი ვნახე და ვიბაასე კათალიკოზ იოსებთან ქუთაისს“ (საქ. ისტ. ქრონიკები.1980:261-264). კათოლიკე ბერ ლეონის ცნობის ტენდენციურობას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ, იგი დადიანისა და რაჭის ერისთავის ერთგულ მოკავშირეს წარმოადგენდა და ამიტომაც იოსები მიუღებელი იყო მისთვის. იოსებ კათალიკოსი არ სდევნიდა კათოლიკეებს და მას საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონია მღვდელ იოანესთან. განსაკუთრებით ფასეულია იოანეს ცნობები იოსებ კათალიკოსის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. იოსებ კათალიკოსი არაერთხელ ჩასულა მოსალაპარაკებლად კაცია დადიანთან, რომელსაც გართულებული ჰქონდა ურთიერთობა სოლომონ მეფესთან. დადიანი ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა სოლომონის გაძლიერება, ამიტომ იგი ოსმალებთან მოკავშირეობასაც არ მოერიდა, თუმცა 1768 წელს სოლომონმა დადიანი, გურიელი და მათი მოკავშირე ოსმალები სასტიკად დაამარცხა, ხოლო 1769 წელს მეფემ დასაჯა ქვეყნის ორგული როსტომ რაჭის ერისთავი, 1769-1770 წლებში კი ოსმალები განდევნა იმერეთიდან. აქედან გამომდინარე დადიანი ალბათ შიშობდა, რომ სოლომონი კონტროლს მთელ დასავლეთ საქართველოზე დაამყარებდა და მეფესთან ურთიერთობას გაურბოდა. მღვდელ იოანეს ცნობით, იოსებ კათალიკოსი სამჯერ 1771, 1773 და 1774 წლებში წასულა მოსლაპარაკებლად დადიანთან: 1771 წლის „6 ივლისს იოსებ კათალიკოზი წავიდა მათხოჯს ქუთაისითგან დადიანის მეფესთან გასარიგებლად“, „12 ივლისს კათალიკოზი ქუთაისს დაბრუნდა“, 1773 წლის „4 ივლისს კათალიკოზი ხონს წავიდა დადიანის გასარიგებლად, 5 ივლისი კათალიკოზი ქუთაისს მოვიდა დადიანის გაურიგებლად“, 1774 წლის „2 თიბათვე (ივნისი) კათალიკოზი იოსებ წავიდა დადიანთან, 7 თიბათვე. მეფე ქუთაისითგან ხონს წავიდა დადიანის გასარიგ შესაყარად“ (იქვე: 258-268).

იოსებ კათალიკოსის მრავალწლიან მცდელობას, როგორც ჩანს შედეგი გამოუღია და სოლომონ მეფე და კაცია დადიანი ერთმანეთს შეხვედრიან ხონში. კათალიკოსი ქართლშიც ყოფილა წასული, თუმცა, არ ვიცით, რა მიზეზით: „1772 წლის 22 გიორგობისთვე. კათალიკოზი იოსებ ქართლითგან ჭალატყეს მოვიდა“. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ იოსები იყო თავისი ძმის, წმინდა მეფე სოლომონის ერთგული მხარდამჭერი და თანამებრძოლი პოლიტიკურსა თუ საეკლესიო საქმეებში და ისინი ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ, რამაც მრავალი სიკეთე მოუტანა ქვეყანას. მღვდელ იოანეს ცნობები კი კათალიკოსის მოღვაწეობაზე ფასდაუდებელია, რადგან იგი ამ მოვლენების თვითმხილველი და კათალიკოსთან დაახლოებული პირი ყოფილა.

იოსებ კათალიკოსს 1769 წლის შემდეგ ხონის ეპისკოპოსად ანტონ ჩიჯავაძე უკურთხებია, რომელიც შემდეგ სოლომონ მეფემ თავისი უღირსი მოქმედებების გამო იმერეთიდან გაძევა (ეფრემიძე.2014:33). ანტონის კურთხევის შესახებ გადმოგვცემს იმერეთის მეფე სოლომონ მეორე თავის ერთ საბუთში: „ძემან არჩილისამან მეორემან ახალმან სოლომონ და... დედოფათ დედოფალმან მარიამ, წყალობის სიგელი გიბოძეთ ჩვენი ოჯახის მემკვიდრეს ყმას ჩიჯავაძეს ვახუშტის“ (ქიმ.№103). მამუკა ბატონიშვილს მათი ოჯახი გაუღარიბებია და მათი სამკვიდრებელი მიუსაკუთრებია – „თქვენ ობლათ დარჩენილი იყავით და დიდს სახელოვანს მეფეს სოლომონს და ბატონ ბიძაჩემს უსამღვთოეს კათალიკოზს იოსებს დაეზარდათ და შენის ძმის ანტონისათვის მთავარეპისკოპოსობა ებოძებინა“. სოლომონ მეფესა და იოსებ კათალიკოსს ობლად დარჩენილი ძმები გაუზრდიათ და მათგან ერთ-ერთი, ანტონი, იოსებს ხონის ეპისკოპოსად უკურთხებია, რაც იმის დასტურია, რომ იოსები სრულად ახორციელებდა თავის საკათალიკოსო უფლებამოსილებას.

იოსებ კათალიკოსი თავისი მოღვაწეობის დასასრულს განსაკუთრე-

ბით ზრუნავდა გელათის ტაძრისათვის. მან 1776 წლის დამდეგს ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს ვერცხლის აიაზმა შესწირა: „აიაზმა ვეცხლის. ცათა უმაღლესისა ხახულისა ღვთისმშობელსა გიძღვნე და შემოგწირე სააიაზმე ესე ვეცხლისა. გაწყობილი სახურავითურთ. ჩვენ იმერთა ყოვალობის კათალიკოსმან. გაენათელმან და ძემან მეფისამან. იოსებ სათხად სულისა ჩემისა“ (Церетели..1891:17). გელათში ყოფილა ასევე იოსებ კათალიკოსის ჯვარ-სანთლები, ვერცხლის აიაზმასა და ჯვარსანთლებს ჰქონია წარწერები-„ეს ჯვარსანთელი გაენათელი მიტროპოლიტის იოსების არის. მოიხსენე უფალო“(იქვე:18), ეს ნივთები გ. წერეთელმა მოინახულა და დააფიქსირა XIX საუკუნის ბოლოს გელათში ყოფნისას. 1906 წლის გელათის მონასტრის აღწერილობაში ფიგურირებს: „ორი ვერცხლის დიდი საცეცხლურები და სამ სანთლიანი და ორ სანთლიანი პატარა შანდლები ვერცხლისა წონით 1 გირ. და 81 მისხალი, სააიაზმე ვერცხლისა მისის სახურავით 4 გირ. 48 მისხალი“ (კეზევაძე. 2006: 160). იოსებ კათალიკოსის ვერცხლის აიაზმა საკმაოდ დიდი ზომის ყოფილა, ამჟამად აიაზმის და სხვა ნივთების ადგილსამყოფელი უცნობია, სავარაუდოდ ისინი ბოლშევიკურ ტერორს ვერ გადაურჩა. 1906 წლამდე მოუღწევია ასევე იოსების მიერ შეწირულ: „ბარძიმი ფეშხუმი, კამარა, კოვზი ვერცხლისა მორჩილები წონით 1 გირ. 83 მისხალი“ (იქვე:162). კათალიკოსი იოსები გელათის მთავარ ტაძარს სწირავს ძვირფას სამღვდელმთავრო შესამოსელს. „მწვანე მდინარე, თავისის ტერფებით გაწყობილი, რომლის ოლარი, მარგალიტის ნაკერის სამკლავებსა თანა, სარტყელი ოქრომკედით ნაკერი – ვერცხლითა და თვლებით გაწყობილი, ყვითელი სტოფის ბისონი, ოქროს ღილებით, ოქროთი დაფერილი ბარძიმ-ფეშხუმი“... (ტყეშელაშვილი, 2007:97).

იოსებ კათალიკოსი რაღაც მძიმე სენით იყო დაავადებული და ცდილობდა სულის საოხად მრავალი შესაწირი დაებრძანებინა გელათში. გელათისადმი სიყვარული გადმოცემულია კათალიკოსის

ერთ-ერთ უკანასკნელ სიგელში, რომელშიც იგი ჩამოთვლის მის მიერ გელათისადმი აღსრულებულ საქმეებს, თუმცა აქვე იგრძნობა სინანული, რადგან მას მრავალი საქმე დარჩა შეუსრულებელი. სიგელი 1776 წლის 9 მაისით თარიღდება, ანუ გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე არის დაწერილი. „ჩემი ღვწა დღე და ღამე ეს იყო, რომ გელათს დიაკვნად ვეკურთხე, მღვდლად ვეკურთხე და მღვდელმთავრათ“ რაც რამე მიღვაწია, ყოველივე გელათისთვინ მინდოდა“ (ქ.ს.IIII.1967:906). იოსები აღნიშნავს, რომ გელათს გალავანი თვითონ შემოავლო და დახურვაც უნდოდა. შემდეგ კი ჩამოთვლის მამულებს, სადაც მან საკუთარი სახსრებით დაიხსნა არაერთი პიროვნება და გელათს დაუბრუნა. „ერთობით ყველა დიდის ცდით და თეთრით მიყიდია“: ალისუბანი, თხილთწყაროს ღიბრაძეები და ჭუმბურიძეები, მუხურა-ოკრიბას გვენეტაძეები, რაჭას-კვაშხითს, ჩუნეშს, რითნს სულაქველიძენი. სადაც იყო გაბნეული ადგილ-მამული „შევიტყვე და წიგნით ამოვიღე, ზოგი თეთრით და ზოგი ცდით და სარგლით“: საერისთაოში ჯანელიძეები, ქვიტირს საკანდელაკო კაცები „ამოვიყვანე და საგელათოთ გავხადე ისევ“. ამის გარდა ორი ებრაელი მოშა და მისი ძმები ქუთაისიდან გამოუყვანია და ისევ გელათისთვის შეუწირავს. შემდეგ სიგელში ჩამოთვლილია ის ხალხი, რომლებიც მას ახალციხეს, ონს, ქუთაისს, ჩხარს დაუხსნია თუ უყიდია და გელათისთვის შეუწირავს. იოსებ კათალიკოსი თავის უკანასკნელ შეწირულობის სიგელს ბეჭდით ამტკიცებს.

იოსებ კათალიკოსის შესახებ ცნობებს გვაწვდის ა. გიულდენშტედტი, რომელიც 1772 წელს იმყოფებოდა საქართველოში. იგი გელათის მონასტრზე საუბრის შემდეგ უშუალოდ იოსებზე მოგვითხრობს: „ეს მონასტერი არის იმერეთის პატრიარქის საჯდომი. ახლანდელს ჰქვია იოსები და არის მეფე სოლომონის მკვიდრი ძმა, ისიც მასთან (იყო) სხარტალში“ (გიულდენშტედტი.1962 :145). გიულდენშტედტი სოლომონ მეფესა და იოსებ კათალიკოსს რაჭაში, სოფელ სხარტალში

შეხვედრია 1772 წლის 1 აგვისტოს. აღსანიშნავია, რომ 1772 წლამდე სოლომონ მეფესა და იოსებ კათალიკოსს შორის გარკვეული უთანხმოება, ყოფილა, თუმცა ამ დროისათვის ისინი უკვე შერიგებულნი იყვნენ. რაჭაში სოფელი სხარტალი სოლომონ მეფის საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა, ხოლო სახელოვან მეფეს სოფელი მრავალძალი მიუცია იოსებ კათალიკოსისათვის. ძმებს შორის უთანხმოება ძალიან მცირე ხანს გაგრძელებულა, 1772 წლის 29 სექტემბრის წერილში, რომელიც რუს პორუჩიკ ლევოვს გაუგზავნია გრაფ პანინისადმი ვკითხულობთ: „აგვისტოს ბოლოს დაირღვა მყუდროება იმერეთში. სოლომონის ძმის პატრიარქ იოსებსა და არჩილ ბატონიშვილს შორის. პირველი მათგანი ძველად ყოველთვის ეხმარებოდა თავისი რჩევებით მეფეს, ხოლო მეორე კი თურქებთან ბრძოლაში ეხმარებოდა მეფეს“ (Церетели.1891:361). თუკი რუს სამხედროს ვერწმუნებით, რაც ალბათ საეჭვოა, მეფეს თითქოს ძმებმა სოფლები და ციხე-სიმაგრეები სთხოვეს, რაზეც გაბრაზებულა. შემდეგ იგი აგრძელებს თავის ტენდენციურ მიდგომას და აღნიშნავს, რომ მეფემ დასაჯა მშობელი დედაც, თუმცა საბოლოოდ სოლომონი შერიგებია თავის ღვიძლ ძმებს.

არჩილ ბატონიშვილთან სოლომონ მეფესა და იოსებ კათალიკოსს მართლაც ჰქონიათ უთანხმოება რაღაც პერიოდი, თუმცა ამ შემთხვევას 1770 წელს ჰქონდა ადგილი, როდესაც არჩილ ბატონიშვილის სიმამრის, ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე მეორეს კაცი არ გაატარეს იმერეთზე დადიანთან შესახვედრად. ამის შესახებ თვით ერეკლე მეფე ბრძანებდა თავის წერილში, რომელიც გრაფ პანინს გაუგზავნა: „ძრავალგზის ვეცადენით მეფე სოლომონთან, რომ დადიანს შერიგებოდა, და არ ინება მეფემან სოლომონ, მიზეზი ის იყო რომ მამულები უნდოდა მეფე სოლომონს დადიანისათვის წარსართმეველად და ერთმანეთთან სხვა ძველი მტრობაც ჰქონდათ. შარშან ბრძანების შემდგომად თავისი ძმა უმაღლესის კარს გამოეგზავნა, მაგრამ რამდენ-

იკ ეკადა გზა არ დაანება და არ გამოუშვა მეფე სოლომონ ჩემთანა, იმისი ძმის უწმინდესისგან მოწერილი წიგნი, რომელსაკ თავის ძმას არჩილს სწერს (Грамоты. II 1898: 51). სოლომონ მეფე ცდილობდა არ დაეშვა დადიანის გაძლიერება, ეს უკანასკნელი კი ცდილობდა ერეკლეს დახმარებით გადაერჩინა თავი. ამ პოლიტიკურ დაპირისპირებაში მთავარ როლს იოსებ კათალიკოსი თამაშობდა, რომელმაკ წერილით გააფრთხილა ღვიძლი ძმა: „თუ შენ არ გინდა საკუთარი ძმის, სოლომონის მკვლელად იწოდო და არ გსურს გავიკრიჭთ და ხარისხი ავიყარო, მაშინ ხვალ ირაკლის კაკი დადიანის სამფლობელოში არ გაუშვა, ხოლო თვითონ ადრიანად ჩვენთან მოდი (Грамоты. I. 1891:262). იოსებ კათალიკოსი სოლომონის უერთგულესი მხარდამჭერია და ამისთვის იგი არჩილ ბატონიშვილს სასტიკად აფრთხილებს, რათა მას მეფისათვის არ ეღალატა. დადიანი რუსეთთან ურთიერთობაში ცდილობდა გაძლიერებას, რასაკ სოლომონ მეფე და მისი ძმა კათალიკოსი იოსები არ დაუშვებდნენ.

იოსებ ბაგრატიონი აქტიურად იღწვოდა ასევე საეკლესიო სიწმინდეების მოძიებასა და გამოსყიდვაზე. მას გამოუსყიდია ვანის სახარება (საჩინოს), რომელიკ ოსმალთა აგრესიის პერიოდში გაუტაკიათ ტაძრიდან. სახარების 273 ფურცელზე შემდეგი მინაწერია: „ჩვენ აფხაზეთის კათალიკოსმა, მეფის ძე იოსებმა, გამოვისყიდეთ ესე წმინდა სახარება, შევიტყვეთ, რომ იგი ეკუთვნოდა ვანის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიას, მდებარე საჩინოში, ხელახლა შევწირეთ იგი ეკლესიას...“ (Кондаков. 1890: 4). წმინდა სახარება შემკული ყოფილა მრავალი მინიატურით და წარმოადგენდა ხელოვნების განსაკუთრებულ ნიმუშს, XIX საუკუნის ბოლოს სახარება გელათში მოუნახულებია ნ. კონდაკოვს, მანვე აღწერა ის და დააფიქსირა მასზე კათალიკოს იოსების წარწერა.

ღვაწლმოსილი კათალიკოსი სავსებით ახალგაზრდა, 37 წლის ასაკში გარდაიკვალა. იგი გურიაში გამგზავრებულა, სადაკ ცუდად გამხ-

დარა. გურიიდან მოსული კათალიკოსი 1776 წლის 4 მაისს სანავარდოს მისულა, სადაც დაწოლილა, გურიაში კათალიკოსი სოლომონ მეფის დავალებით ყოფილა წაბრძანებული, რადგან მთავრებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ცდილობდა. როგორც ჩანს, კათალიკოსი რამდენიმე დღე სანავარდოს იწვა, თუმცა მისი მდგომარეობა უფრო დამძიმებულა, რის გამოც 11 მაისს ავადმყოფი კათალიკოსი სანავარდოთგან ქუთაისს მიუყვანიათ. ქუთაისში კათალიკოსს ორი დღე უცოცხლია მხოლოდ და 1776 წლის 13 მაისს „კათალიკოზი იოსებ მოკვდა ქუთაისს, მწვანეყვავილაში“ (საქ. ისტ. ქრონიკები.1980:272) გადმოგვცემს მღვდელი იოანე.

იოანეს ცნობა ზუსტად ემთხვევა გელათის გულანის ცნობებს კათალიკოსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. კათალიკოსი მძიმედ იყო დაავადებული რაღაც უკურნებელი სენისაგან, რაზეც იგი თავის ანდერძში აღნიშნავს: „რამეთუ სენისა ამის მიერ მივალ მოუვალსა გზასა“, ანდერძი დათარიღებულია 1776 წლის 26 მარტით, გარდაცვალებამდე თვენახევრით ადრე კათალიკოსი ავად ყოფილა, რის გამოც წერს ანდერძს, რომელშიც იგი შენდობას ითხოვს. ფაქტია, რომ იოსები ავად გახდომიდან მეათე დღეს აღესრულა. კათალიკოსი იოსები გარდაიცვალა 1776 წლის 13 მაისს ქუთაისში, გაენათელი ეპისკოპოსების რეზიდენციაში მწვანეყვავილაზე. იოსებ კათალიკოსის გარდაცვალებაზე გვაწვდის ცნობას გელათის გულანი: „ქკს: უიდ (1776) ამა ქკსა მიიცვალა ყოვლად სანატრელი კათალიკოზი გენათელი და მეფისძე იოსებ თვესა მაისსა: იგ: დღესა პარასკევესა, ჟამსა მეოთხესა, იყო წლისა ოცდა-ჩვიდმეტისა და ექვსის თვის“ (ქრონიკები.1967:345). 17 მაისს კათალიკოსი გელათში გადაუსვენიათ. „18 მაისს კათალიკოზი იოსები გელათს მიწაში მიიღეს“ – გვაუწყებს მღვდელი იოანე. იოსები დაკრძალეს გელათში, ღვთისმშობლის შობის ტაძრის წმიდა იოაკიმეს და ანას სახელობის ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ. ამ ფაქტს ადასტურებს ქუთაისის მუზეუმში დაცული

გელათის მონასტრის არქივის ცნობაც: „კათალიკოზი იოსებ, იოაკიმე და ანას ეკუდერში არის დასაფლავებული ტრაპეზის ქვეშ ადევს ქვა წარუწერელი“ (ქიმ.გელათის არქივი. 64/66. №3605). კარნიზიანი საფლავის ქვა კარგად არის შენახული და იგი საკმაო ყურადღებას იწვევს, რადგან ტრაპეზის ქვეშ არის დაკრძალული. ამავე ეკვდერში არიან დაკრძალულნი იმერეთის მეფე ალექსანდრე და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი XVII საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც ჩანს, კათალიკოსი მათ ზემოთ დაკრძალეს, რაც გელათში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ვფიქრობთ, კათალიკოსის ტრაპეზის ქვეშ დაკრძალვა შემთხვევითი არ იყო და თანამედროვეები კათალიკოსს თავისი წმინდა ცხოვრების გამო „ყოვლად სანატრელ კათალიკოსს“ უწოდებენ. თუმცა იოსების დაკრძალვა წმინდა იოაკიმეს და ანას სახელობის ეკვდერში სოლომონ მეფეს უნდა მივაწეროთ ანდა უფრო მართებულია ვთქვათ, რომ იოსებმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში იზრუნა თავისი საძვალის მოსაწყობად. ეს შემთხვევა ალბათ ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, როცა ახლადგარდაცვლილ კათალიკოსს ტრაპეზის ქვეშ კრძალავენ. დღეისათვის იოსებ კათალიკოსის საფლავი თითქმის უცვლელადაა მოღწეული ჩვენამდე. კარნიზიანი საფლავის ქვის ზომებია 220 სმ. 1.20 სმ. საფლავის ქვის აღმოსავლეთ ნაწილზე პირდაპირ დადგმულია ტრაპეზის ქვა, რომლის ძირშიც ამკარად შეიმჩნევა ბათქაშის კვალი, რაც იმას მოწმობს, რომ იგი იოსებ კათალიკოსის დაკრძალვის შემდეგ დაადგეს საფლავის ქვაზე, აღნიშნული ტრაპეზი XVII საუკუნიდან მოქმედებდა ალბათ, რადგან ეკვდერი ალექსანდრე მეფისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანის საძვალედ იყო მოწყობილი. კათალიკოსის საფლავთან ირგვლივ ძველი ქვები უნდა იყოს განლაგებული, რადგან ერთ მათგანზე შეინიშნება ორნამენტი. საფლავის დასავლეთით არსებულ დიდ ქვაზე და ეკვდრის სვეტების ქვემოთ ჩანს ოთკუთხედი ჩაღრმავებები, შესაძლოა ეს ეკვდერი ძველად გა-

დატხრული იყო რაიმეთი და შემდეგ აიღეს. აღნიშნული დიდი ზომის ქვა, რომელიც საფლავს ებჯინება, XVII საუკუნისა უნდა იყოს. ეკვდერის გარეთ ამკარად უფრო ახალი ქვის იატაკია დაფენილი. ამ თვალსაზრისითაც იოსებ კათალიკოსის* საფლავი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. იოსებ კათალიკოსის საფლავის გვერდით, ან უფრო ქვემოთ, არის იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამისა (1639-1661) და დედოფალი ნესტან-დარეჯანის საფლავები, რომლებიც დღეისათვის დაფარულია გვიანი პერიოდის ქვის იატაკით. იოსებ კათალიკოსის საფლავი მოუნახულებია 1840-იან წლებში ა. მურავიოვს, რომელიც აღნიშნავს, რომ „დიდი მეფე ალექსანდრე და მისი სასტიკი ცოლი დარეჯანი დაკრძალული არიან გელათის დასავლეთის კართან, როგორც ამას გვიჩვენებს მათი პორტრეტები, იქ სადაც მოწყობილია ხარების სალხინებელი, სოლომონ მეფის ძმის, იოსებ კათალიკოსის საფლავზე (Муравиов. 1848:206).

იოსების გარდაცვალების შემდეგ მალევე უკურთხებიათ ქუთათელი მაქსიმე (აბაშიძე) ახალ კათალიკოსად. შემორჩენილია 1776 წლის საკათალიკოსო ქონების ნუსხა, რომლის აღწერილობაში კათალიკოსი მაქსიმე ბრძანებს: „ქ. კურთხეული კათალიკოზი მეფისძე იოსებ რომ მიიცვალა და მეფე სოლომონმა კათალიკოსობა ჩვენ გვიბოძა ბერი წულუკიძისაგან მოგვებარა ეკლესიის სამკაული საკათალიკოსო, და სახასო მამულები“ (კაკაბაძე.1921:54). საკათალიკოსო ნივთებში ჩამოთვლილია იოსების მიერ შეწირული ქონება და მამულები.

2016 წელს გამოცემულ ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომში „ბაგრატიონები“

*იოსებ კათალიკოსის მახლობლად გელათის მთავარი ტაძრის იოაკიმეს და ანას სახელობის ეკვდერში დაკრძალულია ზაქარია გაბაშვილი (1782), სხვა ცნობით წმ. გიორგის ეკლესიის წინ (კეზევაძე. 2006:145). ზაქარია გაბაშვილი აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოხვეწის შემდეგ იმერეთის მეფე სოლომონ პირველის კარზე მოღვაწეობდა. ზაქარია გაბაშვილმა იოსებ ბაგრატიონთან ერთად საღვთო ლიტურგია თარგმნა გელათში.

იოსებ ბაგრატიონის შესახებ ფიქსირდება ერთი შეცდომა. ავტორს იოსებ ბაგრატიონი მოხსენიებული ჰყავს წმინდანად შერაცხილ ბაგრატიონებს შორის: „12) აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი იოსებ I (1769-1776; 1776), იმერეთის მეფეების ალექსანდრე V-ის ძე და სოლომონ I-ის ძმა (ხსენების დღე 17 ოქტომბერი)(ბიჭიკაშვილი.2016:36). ავტორი აშკარად ცდება, რადგან იოსებ კათალიკოსი წმინდანთა დასში არ არის შერაცხილი. ი. ბიჭიკაშვილს მხედველობაში ჰყავს აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე კათალიკოსი იოსებ (ჯანდიერი) (1755-1764). კათალიკოსი იოსებ ჯანდიერი იოსებ კათალიკოსის თანამედროვე იყო და მას კათალიკოსობა მოუწია კათალიკოს ანტონ I-ის ბაგრატიონის რუსეთში გაძევების შემდეგ, თუმცა 1764 წლის მარტში ანტონის საქართველოში დაბრუნების შემდეგ იოსები გადააყენეს კათალიკოსობიდან (ქორიძე. 2002:129-130). იოსებ კათალიკოსი (ჯანდიერი) სამონასტრო მოღვაწეობას შეუდგა და დიდად გაითქვა სახელი, იგი მრავალ სასწაულს აღასრულებდა, კურნავდა ავადმყოფებს და ბრმებს მხედველობას უბრუნებდა, ამის გამო საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანთა დასში შერაცხა და ხსენების დღედ 17(30) ოქტომბერი დააწესა, პატივცემული მკვლევარი სწორედ ამ ფაქტმა შეიყვანა შეცდომაში და მან იოსებ (ჯანდიერი) კათალიკოს იოსებ ბაგრატიონად მიიჩნია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ბიჭიკაშვილის საკმაოდ მოცულობით ნაშრომს თან ახლავს ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულები, რაც ძალიან ფასეულს ხდის წიგნს. ტაბულა № 18-ში მოცემულია იმერეთის მეფეთა გენეალოგია, რომელშიც ალექსანდრე V-ის შვილებს შორის იხსენიება იოსებ კათალიკოსი და მისი დაბადების თარიღად 1739 წელია მითითებული, რაც ჩვენს ზემოთ აღნიშნულ არგუმენტირებულ მსჯელობას ემთხვევა. აღნიშნულ ტაბულაში ალექსანდრეს შვილებს შორის არ არის მოხსენიებული პეტრე.

ახალგაზრდა ძმის გარდაცვალებამ მძიმე დარტყმა მიაყენა სოლო-

მონ მეფეს, რადგან მას გამოაკლდა თანამოაზრე და ერთგული მოღვაწე, რომელსაც ყოველთვის ენდობოდა. სოლომონ მეფე თავისი ძმის ეკვდერის გამშვენიერებისათვის განსაკუთრებით ზრუნავდა, მან ეკვდერს საკეკხლური შესწირა: „ჩვენის ძმის კათალიკოზის იოსების საფლავის ეკვდრისათვის შეგვიწირავს და ვინც გამოსწიროს, შეჩვენებულ იყოს“ (მასალები.1978:95). როგორც ჩვენ ადრე შევნიშნეთ, სოლომონ მეფეს ძალზე მძიმე ცხოვრება ჰქონდა, მათ ოჯახს არერთი განსაცდელი ეწვია. 1775 წელს მას გარდაეცვალა უმცროსი ძმა, არჩილ ბატონიშვილი, 1776 წელს მეორე უმცროსი ძმა, იოსებ კათალიკოსი, 1778 წელს მეუღლე დედოფალი მარიამი და 1780 წელს ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი. სოლომონ მეფე და იოსებ კათალიკოსი ადრეულ ასაკში აღესრულნენ, განსაკუთრებული დამსახურების გამო ორივენი გელათის მთავარ, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში დაკრძალეს. მათი მოღვაწეობა ერთ განზომილებაში უნდა დავინახოთ, რადგან ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში შეძლეს ქვეყნისა და ეკლესიის ფეხზე დაყენება. სოლომონ მეფის და კათალიკოს იოსების ცხოვრება ნათელი მაგალითია ქვეყნისადმი თავდადებისა, ისინი ღირსეულად ემსახურნენ საკუთარ ქვეყანასა და ხალხს და შექმნეს ერთი დიდი ეპოქა, რომელიც დღესაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

უცნობი მღვდელმთავრის ფრესკა გელათის მთავარ ტაძარში

(იგი მიჩნეული იყო იოსების ფრესკად)

უცნობი მღვდელმთავარი XVII საუკუნე

გელათის მთავარ ტაძარში დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთით მდებარე ბურჯზე წარმოდგენილია მღვდელმთავრის ფრესკა, რომელიც მიჩნეული იყო კათალიკოს იოსების გამოსახულებად. უცნობი

მღვდელმთავრის ფრესკა ბურჯის ქვედა რეგისტრშია წარმოდგენილი, საქტიტორო წარწერის ქვემოთ.

ფრესკის თავზე დღემდე არსებობს საკმაოდ დაზიანებული წარწერა, რომელიც თითქმის გადაშლილია და ძნელად იკითხება.XIX საუკუნეში გიორგი წერეთელმა აღნიშნული წარწერა ამოიკითხა და გამოაქვეყნა თავის ცნობილ ნაშრომში. წარწერის შინაარსი ასეთია: „ჰოი შენ ცათა მობაძავ... მეორედ იერუსალიმად წოდებულო: ხახულისა და გელათისა საკურთხეველისა ღვთისმშობელო. ჩვენ მოსავმან მვედრ.... თქვენმან: მეფემან ალექსანდრემ: და მვედრებელმან ...დ. დოფალთ .... ალმან: ნესტანდარეჯანმან: და ძეთა ჩვენთა. ...ბ და ს... სახსრად: საოხად: სულ...სა.. ამინ:“ (Церетели. 1891:8). გ. წერეთელი ნაშრომის შენიშვნაში საუბრობს, რომ, მისი აზრით, აქ მოხსენიებული მეფე ალექსანდრე არის ალექსანდრე V (1725-1752) იმერეთის მეფე. მამა სოლომონ პირველისა, მას ჰყავდა ორი შვილი სოლომონი და იოსები. პირველი იყო იმერეთის მეფე, ხოლო მეორე კათალიკოსი (იქვე:8). უნდა განვაცხადოთ, რომ ცნობილი მეცნიერი ცდება, რადგან წარწერაში მოხსენიებული მეფე ალექსანდრე მეხუთე არ იყო, იგი იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამეა (1639-1660), რადგან სწორედ მისი მეუღლე იყო აქვე მოხსენიებული ნესტან-დარეჯანი, რომელიც ძველ საბუთებში დედოფალთ-დედოფლის ტიტულით გვხვდება, ვინაიდან იგი იყო კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ასული. ეს საქტიტორო წარწერა მდებარეობს მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში არსებული ქრისტეს ვნებათა ფრესკების ქვემოთ, როგორც ცნობილია, აღნიშნული ფრესკები XVII საუკუნის შუახანებში მოიხატა და მათი უშუალო დამკვეთნი მეფე-დედოფლის გარდა აფხაზეთის იმდროინდელი გამორჩეული კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი (1656-1660) იყო. კათალიკოსი მოპირდაპირე მხარეს სამხრეთის ბურჯზეა გამოსახული და მის ზემოთ არსებობს წარწერაც. გ. წერეთელმა, როგორც ჩანს,

ყურადღება არ მიაქცია წარწერაში მოხსენიებულ დედოფლის სახელს, რადგან ალექსანდრე მეხუთის მეუღლეს თამარი ერქვა და არა ნესტან-დარეჯანი, ამასთანავე ალექსანდრეს ჰყავდა ექვსი ვაჟი და არა ორი. „ორი ვაჟი ჰყავდა იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამეს: ბაგრატი, რომელიც მეფე ხდება და კლიმენტი“ (ბიჭიკაშვილი. 2016. ტაბულა №18). აღნიშნულმა მკვლევარმა მოსაზრებამ შემდგომ პერიოდში შექმნილ ნაშრომებში უზუსტობები გამოიწვია*. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე მეხუთის მოღვაწეობის პერიოდში გელათში კედლის მხატვრობა არ შესრულებულა და იგი თავის მეუღლესთან (პირველ მეღლესთან) ერთად დასაფლავებულია გელათის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკვდერში, რომელიც თავად გაამშვენიერა. 1959 წელს ბ. ლომინაძე თავის ნაშრომში საუბრობს აღნიშნული ფრესკის შესახებ: ამავე ჩრდილოეთის სვეტზე სამხრეთით, ლურჯ ფონზე გამოხატულია ზემონახსენები იოსები საეპისკოპოსო ტანსაცმელში, თანმხლები ასომთავრული წარწერა ამჟამად ძნელად იკითხება (ლომი-

*უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ადრინდელ ნაშრომებშიც იმავე მოსაზრებას ვიზიარებდით, მიგვაჩნდა, რომ მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის ბურჯზე იოსების ფრესკა იყო გამოსახული. ამ საკითხზე ჩვენ პირად საუბარში მიგვანიშნა ისტორიკოსმა თამარ ქორიძემ (რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ), რომელმაც აღნიშნა, რომ ხელოვნებათმცოდნეებს ეჭვი შეაქვთ იმაში, რომ აღნიშნული ფრესკა იოსებ კათალიკოსს ეკუთვნის. ამის შემდეგ ჩვენ მიერ მოძიებულმა მასალამ დაგვარწმუნა, რომ ფრესკა ნამდვილად XVII საუკუნეს განეკუთვნება და მკვლარი მოსაზრება გ. წერეთლის წიგნში გაბარულმა შეცდომამ გამოიწვია. აღნიშნული ფრესკა იოსებ ბაგრატიონის ფრესკად მიჩნეულია შემდეგი ავტორების ნაშრომებში: ბ. ლომინაძე, თ.ქორიძე, ლ. ტყეშელაშვილი... აუცილებელია შემდგომში გამოკვეულ სამეცნიერო ლიტერატურაში გასწორდეს ეს საკითხი და დაფიქსირდეს, რომ იოსებ ბაგრატიონის ფრესკა გელათში შემორჩენილი არ არის. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ გელათში არ არის შემორჩენილი XVIII საუკუნის ისტორიულ პირთა ფრესკები.

ნაძე. 1959: 27). სწორედ ამ ფაქტმა შეიყვანა შეცდომაში სახელოვანი მეცნიერი, წარწერა თითქმის არ იკითხება, ამიტომ მანაც გაიზიარა გ. წერეთლის მცდარი აზრი. შეცდომა ფიქსირდება ასევე ი. ბიჭიკაშვილის ზემოთ დასახელებულ წიგნში იოსებ კათალიკოსის ფრესკასთან დაკავშირებით. წიგნის 131-ე გვერდზე წარმედგენილია აფხაზთა კათალიკოსი იოსებ I (1769-1776) გელათის მონასტრის ფრესკა (ბიჭიკაშვილი. 2016:131). სინამდვილეში წიგნში მოცემული ფრესკა ეკუთვნის აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს ზაქარია ქვარიანს, რომელიც გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთ ბურჯზეა გამოსახული. ვფიქრობთ ამგვარ საკითხებს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება, ან გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელოვნებათმცოდნეების გამოცდილება.

ფრესკა შესრულებული უნდა იყოს XVII საუკუნის მეორე ნახევარში და მასზე აშკარად ასაკოვანი მღვდელმთავარია გამოსახული. ფრესკას ხელოვნებათმცოდნეებიც ამ პერიოდით ათარიღებენ. საკათალიკოსო საყდრის კედელზე ეპისკოპოს ანტონ მაწყვერელის საკმაოდ დაზიანებული პორტრეტია წარმოდგენილი. საყდრის გვერდით, ტაძრის ჩრდილოეთ ბურჯზე, XVII ს-ის უცნობი სასულიერო პირის გამოსახულებაა (მიქელაძე. ვგანგალია. 2007:2280). ჩვენ საერთოდ გამოვრიცხეთ იოსებ ბაგრატიონის ფრესკის არსებობა გელათის მთავარ ტაძარში. ამრიგად, ფრესკაზე გამოსახული პიროვნება უცნობია, ჩვენი აზრით, მღვევდელმთავარი XVII საუკუნის მეორე ნახევრის გაენათელი ეპისკოპოსია, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლი გააჩნდა გელათის მიმართ. სავარაუდოდ ფრესკაზე გამოსახული მღვდელმთავარი უნდა იყოს გედეონ (ლორთქიფანიძე). გედეონ გაენათელი აქტიურად იყო ჩართული იმდროინდელ დაძაბულ პოლიტიკურ დაპირისპირებაში და მხარს უჭერდა ტახტის კანონიერ მემკვიდრეს ბაგრატ ალექსანდრეს ძეს. იგი ასევე ჩართული იყო სამეფოში ხალხის დასახ-

ლებასა და გზებისა თუ ხიდების აღდგენა-მშენებლობაში. ვფიქრობთ, იმ ეპოქის გაენათელ მოღვაწეთა შორის მას ხვდა პატივი გელათის მთავარ ტაძარში გამოესახათ.

მღვდელმთავარი გამოსახულია სამ ნაწილად (შავი, თეთრი, აგურისფერი) გაყოფილ ფონზე, რომელსაც აჩარჩოებს მწვანე წრიული მცენარეული ორნამენტები, რომლის შუა ნაწილში წითელი და თეთრი ყვავილებია ჩასმული. საეკლესიო პირის მოგრძო სახეს ამშვენებს გრძელი თეთრი წვერი, თხელი თეთრი თმა, მოკლე ყავისფერი წარბები. მას გააჩნია მაღალი, დანაოჭებული შუბლი და თხელი სახის ნაკვთები: გრძელი, სწორი ცხვირი, პატარა ტუჩები, ვიწრო თვალის ჭრილი ყავისფერი თვალის კაკლებით. ეპოქის მხატვრული სტილის შესაბამისად ღია ფერის, თითქმის თეთრ სახეზე დადებულია ყავისფერი ჩრდილები. მისი მარჯვენა ხელის თითების კომბინაცია იმეორებს ქრისტეს მაკურთხეველი ხელის ჟესტიკულაციას. მარცხენა ხელში მღვდელმთავარს უჭირავს წმინდა სახარება, რომელიც მოთჭვილია ძვირფასი თვლებით. ეპისკოპოსი შემოსილია თეთრი ფერის ფილონითა და ომოფორით. ფილონი დაფარულია ყავისფერი ტოლმკლავა ჯვრებით. დიდი ზომის ორი ჯვარი ომოფორზეც არის გამოსახული.

ომოფორი ადასტურებს საეკლესიო პირის რანგს. ფილონის შიგნით ჩანს აგურისფერი, თვლებით მოოჭვილი ოლარი, გვერდზე კი ენქერი. მას აცვია შავი ფერის ქოშები. მღვდელმთავარს არ ახურავს მიტრა. შარავანდი ყვითელი ფერისაა.

ფრესკის ზემოთ თეთრ ფონზე შეინიშნება ვრცელი საქტიტორო წარწერა, რომლის დიდი ნაწილი გადაშლილია და ზემოთ გვქონდა საუბარი წარწერის შინაარსზე.

ფრესკა მაცხოვრის ქვემოთ არის გამოსახული, სადაც მაცხოვარი მიჰყავთ გოლგოთაზე. ვფიქრობთ, აღნიშნული ფრესკა ფასდაუდებე-

ლია ეკლესიის ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის მიმარ-თულების მკვლევართათვის. საკმაოდ დაზიანებულია ფრესკის ქვედა ნაწილი, ფერგადასულია ოლარისა და კვართის ფერები, ალბათ დაუდევრობის გამო. მომავალში აუცილებელია ფრესკის ქვედა ნაწი-ლი დაცული იქნეს შემდგომი დაზიანებისაგან. ამრიგად, ფრესკაზე გამოსახული უნდა იყოს გაენათელი მღვდელმთავარი გედეონი და არა იოსებ კათალიკოსი, როგორც დღემდე იყო მიჩნეული.

იოსეგ კათალიკოსის მიერ აღდგენილი ტახტი გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში

გელათის მთავარ ტაძარში შემსვლელის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს შუა ტაძარში, ჩრდილოეთის საყრდენ სვეტზე აღმოსავლეთიდან მიდგმული ტახტი, რომელიც წარმოადგენს ქვითნაგებ ბალდახინს და ბოლოვდება მცირე გუმბათით. ტახტის სიმაღლე დაახლოებით 4 მეტრამდეა, ხოლო განი 1. 30 მეტრია. ტახტზე დაკვირვებისას ამკარად შეიმჩნევა ორი სხვადასხვა პერიოდის შრე, ქვედა ნაწილი უფრო ძველია და იგი ბათქაშითა და მხატვრობით არის დაფარული, ხოლო ზედა ნაწილი ქვის არის და უფრო ახალია. ქვის სვეტებსა და გუმბათს ამშვენებს ქართული ჩუქურთმები და ქტიტორის თარიღიანი წარწერა. 1760 წელს დამზადებული ქვის სვეტები მიმაგრებულია უფრო ძველ XVI საუკუნეში დამზადებულ თეთრ მარმარილოს ორ სვეტზე, რომლებზეც შეიმჩნევა ორნამენტის კვალი. სწორედ ასეთი მარმარილოსაგან იყო დამზადებული ძველი სამღვდელმთავრო ტახტი, რომელიც 1759 წელს ლეკების მარბიელმა რაზმმა მოანგრია და წაიღო. მარმარილოს სვეტები უშუალოდ მთავარი ტაძრის საყრდენ ბურჯზეა მიმაგრებული, ხოლო მარმარილოს სვეტებს ფარავს მცირე ზომის ქვითკირით ამოყვანილი სვეტები, რომლებიც შელესილია და მასზე ორნამენტებია მოხატული, ტახტის ეს ნაწილიც ძველია.

ტახტი ეყრდნობა ქვითკირით ნაშენ ძველ ფუნდამენტს, რომელიც ქვითკირითაა ამოშენებული იატაკიდან 50 სმ. სიმაღლეზე. იგი ამკარად XVI საუკუნისაა, რადგან სამხრეთ და ჩრდილოეთი მხარეს ბათქაში მოხატულია ორნამენტირებული მცენარეული ფიგურებით. აღმოსავლეთიდან ტახტს გააჩნია ასასვლელი კიბის საფეხური, რომლის ნახევარი ჩამოტეხილია. თუმცა საყურადღებოა, რომ დარჩენილი ქვა

შუაში გაბზარულია და მის წინა ზედაპირს ქართული ჩუქურთმა ამშვენებს. ეს ჩუქურთმიანი ქვაც XVI საუკუნისაა, რადგან მასზე გადმოდის ნალესი, რომელიც წითელი საღებავითაა დაფარული. ნაწილობრივ დაზიანებული წითელი ფონი შეიმჩნევა ქვის საფეხურის ზემოთ. ძველი პერიოდისაა ასევე მღვდელმთავრის დასავდომი ქვა, რომელიც ხელუხლებლად დაუტოვებიათ, რადგან ადგილობრივი წარმოშობისაა. ამ ქვის ზემოთ მთელ სიგანეზე არის კიდევ ერთი მართკუთხა ფორმის ქვა, რომელზეც შესაძლოა ეყრდნობოდა მღვდელმთავარი. ეს ქვაც ძველია, რადგან მასზეც არის ბათქაშის კვალი. ტახტის უკანა მხარეს, ანუ მთავარი ტაძრის საყრდენი ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს, გამოსახულია გაენათელი (წინად მაწყვერელი) ეპისკოპოსი ანტონი. ფრესკის ზედა ნაწილი თავს ზემოთ დაზიანებულია, უფრო ზუსტად მასზე გადასმულია 1760 წლის ბათქაში, რომელიც ზემოთ თაღით ბოლოვდება. გაენათელი ანტონი სამღვდელმთავრო შესამოსელშია წმინდა წერილით ხელში. ფრესკა სამ – წითელ, მწვანე და მუქ ლურჯ ფონზეა გამოსახული. ფრესკის მარჯვენა მხარეს შეიმჩნევა გადაშლილი წარწერა: „მე... ევ...“ (მაწყვერელი) ფრესკის ქვედა ნაწილი გადაშლილია ოლარს ქვემოთ. აშკარაა, რომ ფრესკა ტახტის აგების პერიოდში დახატეს, რადგან ფრესკის ორივე მხარეს ერთგვარი ჩარჩოს სახით ამოყვანილია მართკუთხა ფორმის ორი სვეტი, რომელიც მოხატულია მცენარეული ორნამენტებით. აღნიშნული მოხატული ორი სვეტის უკან კი ჩასმულია მარმარილოს უფრო დიდი ზომის სვეტები, სიმაღლე 120 სმ, სიგანე 20 სმ. მარმარილოს სვეტებიც სტილიზებული ფორმის ნიმუშებითაა გაფორმებული, რაც იმ პერიოდის მაღალ კულტურაზე მეტყველებს. მარმარილოს სვეტების ფრესკის ორივე მხარეზე ჩაშენება გვაძლევს საფუძველს, რომ დავასკვნათ: ძველი ტახტი ანტონ გაენათელის პერიოდში არის აგებული. ძველი ტახტიდან შემორჩა მხოლოდ ფრესკა, მარმარილოსა და ქვითკირის სვეტები და ქვედა ფუნდამენტი დაზიანებული კიბით. ტახ-

ტის ძველი ნაშთების არსებობა დაახლოებით წარმოდგენას გვიქმნის XVI საუკუნის საკათალიკოსო ტახტზე, რომელიც საკმაოდ მდიდრული ყოფილა.

ჩვენთვის ცნობილია გელათის პირველი ეპისკოპოსის სახელი, იგი მელქისედეკ საყვარელიძე იყო. მთავარი ტაძრის საკურთხეველში დღემდე არსებობს მელქისედეკის ფრესკა, მაგრამ სამღვდელმთავრო ტახტი მელქისედეკის შემდგომ ეპოქაშია აგებული, რადგან ტახტის უკან, უშუალოდ სვეტზე დახატულია გაენათელი მღვდელმთავრის ანტონის ფრესკა. იგი მანამდე მაწყვერელი ეპისკოპოსი იყო და ბაგრატ მესამის მიერ აწყურის ხატის გადმოტანის შემდეგ გელათში გადმოვიდა სამოღვაწეოდ. ტახტის უკან ანტონ გაენათელის გამოხატვა შესაძლოა მიგვანიშნებდეს იმას, რომ მის პერიოდში მოხდა სამღვდელმთავრო ტახტის აგება. ანტონი სამცხე-იმერეთის 10 წლიანი ერთობის შემდეგ 1545 წლიდან გადმოდის იმერეთში, მას შემდეგ რაც ბაგრატ მეფემ იმერეთში აწყურის ღვთისმშობლის ხატი გადმოასვენა და გელათში დააბრძანა. ანტონი იხსენიება ჩრდილოეთი კარიბჭის წარწერაში: „მაწყვერელმან და აწ გაენათელ მთავარეპისკოპოსმან ანტონი დავახატვინე კარიბჭე ესე ჩემდა სულის საოხად, მეფეთ-მეფის გიორგის სადიდებლად. ამინ“. რომელ წელს დაიკავა გაენათელი მღვდელმთავრის ტახტი ანტონმა, უცნობია, სავარაუდოდ, მას XVI საუკუნის შუახანებიდან ეკავა გაენათელი მღვდელმთავრის კათედრა, მისი ხელმოწერა ფიქსირდება „კათალიკოსთა სამართლის“ ტექსტზეც, სადაც მასთან ერთად ხელს აწერს ქუთათელი მიტროპოლიტი სვიმონი, რომლის მოღვაწეობაც 1562 წლამდე მოდის, რადგან ამ წელს უკვე ბასილი ქუთათელი იხსენიება (მჭედლიძე. კეზევაძე. 2008:208).

ზოგი მკვლევარი ანტონის გაენათლობას მელქისედეკ საყვარელიძის შემდეგ ვარაუდობს (გაფრინდაშვილი. კეკელია. 2006:29). მაგრამ, ჩვენი, აზრითაც, ანტონი მესამე გაენათელი მღვდელმთავარი უნდა იყოს და მას 1560-იან წლებში უნდა დაეკავებინა მღვდელმ-

თავრის ტახტი. სწორედ ამ დროიდან არის სავარაუდებელი სამღვდელმთავრო ტახტის აგება, რომლის უკანაკ გამოსახეს იმ დროს მოღვაწე გაენათელი მღვდელმთავარი. ანტონი გარდაიკვალა 1580-იან წლებში, სწორედ ამ პერიოდში 1560-1580 წლებში უნდა იყოს აგებული სამღვდელმთავრო ტახტი გელათში, რომელიკ მარმარილოსი იყო და 1759 წელს ლეკებმა გაიტაკეს. როგორკ ჩანს, ლეკები ჩქარობდნენ, რადგან მათ ვერ მოასწრეს წაღება დარჩენილი მარმარილოს ორი სვეტისა, რომლებიკ შესაძლოა უფრო მყარად იყო მიმაგრებული საყრდენ სვეტზე და ამან გადაარჩინა ისინი. ძველი ტახტი აწყობილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დეტალისაგან, ამიტომ იგი მალე მოარღვიეს და გაიტაკეს. ანტონ მაწყვერელის ფრესკის გვერდზე არსებულ მოხატულ კარნიზის ორივე მხარეს დაკვირვების შედეგად შეინიშნება მარმარილოს იგივე ქვა, რომელიკ ბათქაშითაა გალესილი და შემდეგ მასზე მკენარეული ორნამენტები მოუხატავთ, რამდენიმე ადგილზე ბათქაში ჩამოშლილია და კარგად ჩანს, მარმარილოს ქვა. სავარაუდებელია, რომ ანტონის ფრესკის მოხატვის დროს ტახტი უკვე იყო აგებული და ფრესკის ავტორმა მარმარილოსი კარნიზი სპეკიალურად მოხატა ფონის შესაქმნელად. ტახტის ქვედა ნაწილი გაწყობილი ყოფილა ქართული წარმოშობის ქვებით (ისინი დღემდეა მოღწეული), ხოლო ზედა ნაწილი მარმარილოს იყო და იგი სრულიად მოარღვიეს და წაიღეს ლეკებმა. ძველი ტახტიდან დღემდე მოაღწია ორი დიდი ზომის და ორი მკირე ზომის მარმარილოს სვეტებმა.

მარმარილოს ტახტი იმერეთის სახელოვანი მეფის, გელათის მეორედ აღმშენებლის ბაგრატ მესამის (1510-1565) ან მისი ვაჟის გიორგის პერიოდში იყო აგებული 1560 წლების ახლო ხანებში, როდესაკ გელათში რიგით მესამე ეპისკოპოსი ანტონი მოღვაწეობდა. ბერძნული მარმარილოს ტახტის აგება იმ პერიოდში კარგად გადმოსკემს იმერეთის სამეფოს ეკონომიკურად ძლიერ მდგომარეობასა და ხე-

ლოვნების საკმათდ მაღალ კულტურას, რადგან რამდენადაც ჩვენთ-ვის ცნობილია, მარმარილოს ტახტი სხვა ტაძრებში არ შემორჩე-ნილა. (ტახტები შემორჩენილია: სვეტიცხოველში, სამთავროში და სხვაგან).

იოსების დროინდელი ტახტი ქვისგანაა გამოკვეთილი, წინა ორ სვეტზე დაყრდნობილია გუმბათი, უკან კი ტახტის ძველი მარმარი-ლოს სვეტებია გამოყენებული. გუმბათი ბოლოვდება მცირე ზომის სარკმელებიანი გუმბათის ყელით, რომელსაც ექვსი სარკმელი აქვს. მცირე გუმბათის ყელი დაფარულია მარტივი ორნამენტით. წინა სვეტები ქვემოდან უფრო ფართეა, შემდეგ ის ვიწროვდება და ზემოთ სრულდება მცირე ზომის კარნიზით, რომელზეც ოთხივე კუთხეში ვაზის მტევანია გამოკვეთილი. ქვის სვეტები რვაწახნაგოვანია და წახ-ნაგთა ყველა ზედაპირი დაფარულია ორი სხვადასხვა ფორმის ჩუქურთმით. ტახტის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს ჩასმულია ოთხკუთხედი ქვის ორნამენტიანი ფილები, რომელთა შუაში წრეში ჩახაზული ჯვრის ორნამენტია, მათ ირგვლივ კი მცენარეული ორნა-მენტებია გამოკვეთილი. ტახტის აღმოსავლეთ მხარეს, თაღს ზემოთ, მთელ ზედაპირზე წარმოდგენილია საქტიტორო წარწერა: „მოიხსენე უფალო ტახტისა ამის აღმაშენებელი მეფის ალექსანდრე ძე გენათე-ლი მიტროპოლიტი იოსებ მის წელსა იყო ქრისტეს აქეთ ქკი ჩღი“(1760). წარწერის ქვემოთ წრეში ჩახაზული ჯვრებით გაწყობილი ორნამენტია გამოსახული ორივე მხარეს, იქვეა უფრო მცირე ზომის წრეები ქართული ბორჯღალით.

იოსებ გენათელი გელათზე ლეკების თავდასხმის შემდეგ დაიწყებ-და ტახტის აღდგენაზე ზრუნვას. როგორც წყაროები გადმოგვცემს, ლეკების თავდასხმამ გელათი ძლიერ დააზიანა: „ქ. გელათი რომ ლეკმა დასწვა თქვენც (მეფეს) მოგეხსენებათ, ეკლესია გათხრებული იყო, ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანე ვინც იყო და გელათი ენახათ იმჟამად სტიროდნენ და კიდეც ეწეოდნენ“ (ქრონიკები.

III.1967:260). შემდეგ დაზიანებული ეკლესია ჟორჟოლაძის კაცებს გაუტეხიათ“, მაგრამ სულმდაბალი ქართველები დაუჭერიათ და კათალიკოზ იოსებისა და ბერუკა ჟორჟოლაძის შეთანხმების შემდეგ „ის ქურდები კათალიკოზს ხელთ ქმნელათ გაუჩნდა“, ე.ი. ეს ქურდობა 1769 წლის შემდეგ მომხდარა, როცა იოსები კათალიკოსი იყო და მას გელათის მძარცველი კაცები სიკვდილამდე ხელში ჰყავდა, ამსახურებდა ტაძარს. ქუთაისის მუზეუმში დაცულ საბუთში მოხსენიებულია „გურნის ეკლესიის მემკვიდრე ყმა გაბადაძე ბატონს კათალიკოზისაგან დატყვევებული, მე რომ ბეგარას მაძლევდა წამართვა და ხელთ ყავს“ (ქიმ.№ 652). ამ საბუთში ამის შემდეგ მოცემულია: „გელათი რომ ლეკმა დასწვა თქვენც მოგეხსენებათ“. ეს ტექსტი თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულია გელათის გუჯრის სახელით. ჩვენი აზრით, კათალიკოზისაგან დატყვევებული გაბადაძე უნდა იყოს ის პირი, ვინც გელათი გაძარცვა.

იოსებ ბაგრატიონის მონდომებით აღდგა ძელი სამღვდელმთავრო ტახტი, რომელიც, სავარაუდოდ, იგივე ფორმის უნდა იყოს, როგორიც იყო XVI საუკუნის ტახტი. ახალი ტახტის აგებამ 1760 წელს, შეიძლება ითქვას, სრულად განადგურებას გადაარჩინა ძველი ტახტის დარჩენილი ნაწილიც, რადგან შესაძლო იყო იოსების შემდეგ აღარც მომხდარიყო ტახტის აგება. გელათის მთავარ ტაძარში არსებულ სამღვდელმთავრო ტახტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც სულიერი, ასევე ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით.

1766 წლის იოსებ გაენათელის ანდერძი

„ქ. ჩემთ ძმავთ ბატონთ საყვარელთ მეფე სოლომონ. შენი ძმა გაენათელი მიტროპოლიტი იოსებ ამ ანდერძს მოგახსენებ. ჩემი სიტყვა და ანდერძი ზეპირათაც მომიხსენებია და წიგნათაც მოგახსენებ. ჩემი რაც არის წიგნი ან შესამოსელი ყველა თქვენ გაბარიათ. მე რათგან თქვენის ერთგულებისა და ქვეყნისათვის ამ უსჯულოებში შევალ ვინ იცის რა ამიტყდება. ან მათი ხელით რომ მოხვდეს ჩემი სიკვდილი და ან ჩემი თავის დღით და სნეულობით რომ მოვკვდე. ესენი ასე მომახმარე.

ქ. ყირმიზი სტოფის ბისონი თეთრი ოქრომკედიანი. ქ. ომფორი მარგალიტის ჯვარებიანი. იმ ომფორს რაც მარგალიტი და თვალი აქვს ნახევარის უფროსი ჩვენი არის მაგრამ ჩვენ მაშინაც საკუთრად საყდრისათვის შეგვიწირავს. სირმით ნაკერი ოლარი. ქ. მარგალიტის ენქერი და ოქროთი დაფერილი. ქ. ყირმიზი გრიზეთის სტიხარი ბეზუმუდის აშინიანი. ქ. თქვენი წყალობა გულსაკიდი ხატი არწივის და ორმოცი ფუნდუხის წონა ჯაჭვი კიდია ოქროსი. ჯაჭვს ნუ მოხსნი იმაზედ იყოს. ქ. სირმა ვეცხლის ჯვრის სასანთლეები. ქ. მდინარე ოქროს ღილებიანი და ყავარჯენი. ეს ერთი ხელი რაც ეპისკოპოსს მოუნდება ყველაფერი უკლისათ არის ჩემს სიკვდილს უკან ესენი დიდს საყდარს ჩემს გელათს შემიწირე როგორც ველოდე შენი სიყვარულისაგან. და გაენათლათაც რომელიც ჩვენ მოგახსენეთ თუ თქვენმა გუნებამაც ქნას მისი ყაბული ის დასვით ამისათვის რომ ჩემს სულსაც უფრო შეიბრალებს და მოიხსენებს. და თქვენი ერთგული იქნება. რადგან დასვით ძალი და ღონე და სიბრალული თქვენგან ასე უნდა ქონდეს რომ არც თვისმა სამღვდელომ და საერომ კრებულმა არ აიგდოს და უმსახურობა ვერ გაუბედონ. თქვენი წყალობით ასე გებრალებოდეს საყდრის კეთებას და მუშავობას ნიადაგ უბრძანებდე,

და გაამთხილებდე. ეკლესიის მამული არ დაიბნას არც მისგან და არც თქვენ შეაწუხოთ. რაც ეკლესიის მამული მიყიდია და დამიხსნია სოფლობით ან თითო ორორი კაცი ყველა ხელახლა საფიცრით შემიწირავს აზნაური და გლეხი. სხვა ეს მოიხსენეთ იოსების ეკვდერი რომ არის წინამძღვარს ჭიჭინაძის. რომ დამცალებოდა ჩემთვის სამარხათ ის მინდოდა. და თუ მოვკვდე ამ დროში იმაშიდ დამმარხეთ. იმას მამული აღარ აქვს. თქვენ რომ ვახტანგ იაშვილის მამული მიბოძეთ ჩემს სასაფლაოვოს ის შემიწირეთ უცილობლათ. რომ არავინ ბერი ან ერისკაცი არ ეცილებოდეს. ესენი ღვთის სიყვარულისთვის ქენით და ჩემი სიბრალულისთვის.

ქ. იმ კაცებს თავის ბეგარაზე ცოტ-ცოტა მოაკელით და მაგიერ სანთელ-საკმეველით შემიწირეთ ბეგარის მონაკლები ჩემს სასაფლავოს რომელიც ჩემი ბერი მოგახსენეთ საფლავზე ის დამყენეთ. თქვენ რომ ორმოცი მარჩილი მიირთმიეთ ისიც შემიწირეთ ჩემს სასაფლავოს თავისი ბეგარით. ქ. ჩვენც ეს შეგვიწირავს იმ ეკვდრისათვის ბარძიმ-ფეშხუმი კოვზ-კამარიანით სირმის მძიმეთ დაფერილი. ოქრო მკედით ნაკერი ყირმიზის ატლასზე დაფარნა და პერქლები ტრაპეზის გარდასაფარებლად და ოდიკი. პატარა სახარება მამიჩემის წყალობა ვეცხლის კუბოში არის და მოჭედილი ჯვარი... ჩემი ღვთისმშობლის ხატიც იმაშიდ დამისვენეთ... ერთი პატარა ჯვარი წინამძღვრის გულსაკიდით. კონდაკი კურთხევანი სახარება სამოციქულო ჟამნი. დავითნი. „ჩემი პატარა გულანი“. სტამბის ზატიკი და სხვა წიგნები რაც ჩემი გამოვიღე ყველა ესენი იმ ჩემს ეკვდერს შემიწირე...

ჩემს ეკვდერს არც საკეცხლური და არც სეფისკვერის ფეშხუმი. ორმოცდაათი მარჩილი იმ ორს გაკეთებისთვის ჩემს ეკვდერს უბოძეთ და სხვა რაც ამას მორჩეს როგორც ღმერთი გიყვარდეს ან ჩვენ გებრალებოდეთ ისე ჩვენს სულს მოახმარეთ. ჩვენს სულს ნუ დაივიწყებთ. სხვა შესამოსლის კოლოფში სადიაკვნო გრიზეთის სტიხარი არის. ის ჩვენს არქიადიაკონს ჩიჯავაძე ბერს ანტონის უბოძეთ. კიდე

კოლოფში მარგალიტი არის და ვეჭოფ თვალიკ არის ყველა დიდი საყდრის არის ჩემთ ბატონთ და იმას უბოძეთ. სხვა რომელიკ ნახოთ იმ კოლოფში რომ ამ ჩემს ანდერძში არ ეწეროს ყველა მოგვახმარეთ ჩემი ბერების საქმე როგორკ მოგახსენეთ ისე გაარიგეთ. და ან ყმის და მოსამსახურის როგორკ მომეხსენებიოს ან ჩვენი სულისათვის რომ სჯობდეს ისე ქენთ და გაარიგეთ ყველა გებრალებოდეს და როგორკ ჩემი ნამსახური ისე გიყვარდესთ ჩემთ ბატონთ. მამათ ბატონათ ძმათ სულის და ხორკის მომვლელათ შენ დამიტოვებიხარ და შენ იკი ჩემთ ბატონთ. და ღმერთმა აღგამაღლოს და წარგიმართოს ღვთის მსახურებაში ჩემთ ბატონთ“.

1776 წლის იოსებ კათალიკოსის ანდერძი

„წყალობითა ღვთისათა. ჩვენ აფხაზ იმერ გურია სამეგრელოისა, ესე იგი სრულიად ქვემოისა ივერიისა კათალიკოზ მამათ მთავარმან. იოსიფ დავითიანმან. თვით საფასითა ჩემითა აღვაწერინე წმინდა ესე სჯულის კანონი: და ვინათგან თანა მაქვნდა ეპარხიაკა გაენათისა, თანამდებკა ვიყავ მსახურებად შენდა: ამისთვის გიძღვენ მოგართვ და შემოგწირე წიგნი ესე სჯულთა ხოლო უფროსღა სულთა გამობრძ-მედელი: შენ სოლომონებრსა ტაძარსა, უფროსღა ეთერებრად ღმრ-თებრ მთენარესა. ყოვლ-სიტყვიერთა დედოფლისა ხახულისა ღვთის მშობელსა: რათა ოდეს აღმოიკითხვიდენ ძენი შენისა ეკლესიისანი ... ოხას მაგებდნენ შენდობა ყოფისასა. და კურთხეულ იყვნენ აწ და მერმესაკა. რამეთუ სენისა ამის მიერ მივალ მოუვალსა გზასა. ჟამსა ყვავილოვნებისასა. და მიწათქმის-ხმასა და უმანავნ კარსა კელიაისა ჩემისასა დრეშანი შავნი: ხოლო უკეთუ ვინმემან კაკთაგანმან გამოახ-ვას საყდარსა შენსა: სამეოკდა ათშვიდგზის განურისხდი დედუფალო. წარმოაგდებინენ ორნივე თვალთა გუგანი, და ენა ხორხ სასასა ზედა

დაზვინე მატლი მტანჯველი ჰეროდე მეუღლისა და შვილთა მკვლელისა. მოუწყვიდენ გულის საყვარელნი. შეაჭამენ ცეცხლსა მისნი საცხოვრებელნი: და ტანით და მუცლით მცორვალე ყავ ვითარცა გველი მიწასა ზედა ამინ:

მარტს კ გ (26) ქრისტესითგან: ჩღოვ (1776).

იოსებ კათალიკოსის გელათის მონასტრისადმი ანდერძით შეწირული ნივთების ნუსხა

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ დიდებულმან მეფემან-მეფეთამან სოლომონ დავითიანმან. ჩვენი ძმის კათალიკოზის იოსების მიერ შეწირული ანდერძისა შინა, რომელიცა წმიდასა და დიდსა ეკლესიასა გელათისასა შესწირა. დავამტკიცეთ და შევსწირეთვე:

მწვანე მდინარე თავისის ტერფებით გაწყობილი:

სტოფის სტიხარი ყვითელის აბრეშუმით გაწყობილი:

სირმის ორარი. მარგალიტით ნაკერს სამკლავებსა თანა:

სარტყელი ოქრომკედით ნაკერი ვეცხლით და თვლებით გაწყობილი.

ყვითელი სტოფის ბისონი. აბრეშუმით და ოქროს ღილებით გაწყობილი.

ენქერი სირმით ნაკერი.

ომფორი თეთრის სტოფისა, ოქროს ღილებით და აბრეშუმით.

დაფარნა და ორი პერექელი სირმით ნაკერი

ოქროთ დაფერილი ბარძიმ ფეშხუმი ყოვლითურთ გაწყობილი.

ერთი სეფისკვერის ვეცხლის თეფში:

ოდიკი არდაგი და მრჩობლი. ყავარჯენი ხელსახოცებითურთ.

ჯვარის სასანთლეები ვეცხლისა. და ეს კონდაკი.

ორნი არწივი დორის პირი და უსუპი.

ერთი ჩვენ მიერ მირთმეული ხატი. არწივი თვლებით და ოქროს ჯაჭვით, სამღვდელმთავრო მიტრა, პირველითგანვე ხახულისა ღვთიმშობელისა აწ კვალად განახლებული.

ერთი ვეცხლის საცეცხლური.

ერთი სჯულის კანონი: და ვნების კვირის სახარება გამოკრებული.

ერთი საყდრის კურთხევის წიგნი. და ერთი დამასკელი:

ერთი ჟამგულანი.

ერთი კლიმაქსი:

ესენი ყოველივე ჩვენი ძმის შეწირული. ჩვენცა შეგვიწირავს და დაგვიმტკიცებია. და წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმანცა ხელყოს დახსნად და დარღვევად ამისა: დამტკიცებულ იქმნა ჩვენ მიერ მაისს ათცამეტს დღესა განსვლისა ძმისა ჩვენისასა:

წელთა ქრისტესითგან: ჩღოვ 1776.

ანდერძი ამჟამად ინახება საქართველოს ხელნაწერთა ერთვნულ ცენტრში.

ანდერძის ბოლოს მოხსენიებულია დიაკონი ექვთიმე, რომელიც გახდება გაენათელი მღვდელმთავარი და იგი ჩაიბარებს ამ ნივთებს:

„ესენი ყოველივე მე მისი დიაკონი ეფთვიმე, მისი ბიძა ნებით გენათლათ მაკურთხეს და მომაბარეს უკლისათ. ქრონიკონს ქეს. აქათ ათას შვიდას სამოცდათექვსმეტს და თვესა მაისსა ათცამეტსა: გენათელი ეფთვიმე“ (ხ.ე.ც. № Hd14514).

აქედან ირკვევა, რომ ექვთიმე გაენათელი იოსებ კათალიკოსის ნაკურთხი ყოფილა და ალბათ მის მიერ იყო განსაზღვრული ექვთიმეს აღზევება მღვდელმთავრის ხარისხში. გაენათელი ექვთიმე სოლომონ პირველისა და მის ძმის იოსების სურვილით მოუყვანიათ გელათში. 1819 წლის 2 ნოემბერს იგი იგონებდა: „დიდმა მეფემ სოლომონ პირველმა და მისმა ძმამ კათალიკოზმა იოსებმა მომიყვანეს გურიიდან, 61 წელიწადი არის იმერეთს ვარ, ორმოცდაერთი წელიწადი გაენათელი

ვარ, ოკს წელიწადს მეფეს და მის ძმას კათალიკოზს ვახლდი და მათი ბრძანება და დაწესება სრულებით ვიკი“ (ტყეშელაშვილი. 2005:39). ექვთიმე ჯერ კიდევ ბავშვი 12 წლის ასაკში მიუყვანიათ იმერეთში, გამოდის, რომ ექვთიმე დაახლოებით XVIII საუკუნის 60-იან წლებში მიუყვანიათ გელათში, და იოსებ კათალიკოსის გარდაცვალების დროს მას დიაკვნის ხარისხი ჰქონდა.

ანნა ბატონიშვილის მიერ შეწირული დაფარნა ხახულის ღვთისმშობლის ხატზე

„ქრისტე, წინა განგებით სახილველად საბაოთურად გამორჩეულო, დავითიანთა კახელ ტომთა ფარველ წიაღად მიმნიჭებელო ტაძარო, განსაკრთომელო გაენათისავ, ნიშთა მყოფელო ხახულის ღვთისმშობელო, მე, უკვე ძრწოლით მოქენე მმოსავი შენისა დედოფლობისა მეფის თეიმურაზის და სახელ ნათელისა დედოფლის თამარის ასული დაი და სახელოვნის მეფის ირაკლისა, ანნა გიძღვნი მკირესსა შესაწირავსა ნაკერს პერქელთ თან დაფარნით შენდა ჩემშორისობისათა ძმისა და თანა სისხლსა ჩემისა იმერთ მეფის ძის გენათელ იოსებისა თანა დგომითა მიიღე ესე მსხვერპლად სახსენად სულისა ჩემისა აღსამაღლებლად ძმისა ჩემისა მეფისა და კეთილ დასაკველად ძისა ჩემისა, მამუკა ორბელიანისა და ასულთა ჩემთა ქ-კსა ჩღიგ“. ანნა ბატონიშვილი განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებს იოსებ გაენათელს და მას ამ საქმეში თანამდგომად იხსენიებს.



იოსებ კათალიკოსის მიერ აღდგენილი ტახტი
ხედი სამხრეთიდან

ანტონ მაწყვერელი-გაენათელი

მე-16 საუკუნის ტახტის ქვის კიბის ორნამენტი

მე-16 საუკუნის ტახტის მარმარილოს სვეტი

ანტონ მაწყვერელი-გაენათელი



იოაკიმესა და ანას სახელობის ეკვდერი
მეფე ალექსანდრე III-ისა და დედოფალ
ნესტან-დარეჯანის საძვალე

იოაკიმესა და ანას სახელოზის ეკვდერი
იოსებ კათლიკოსის საფლავი



ᲓᲘᲓᲘ ᲡᲯᲣᲚᲘᲡᲙᲐᲜᲝᲜᲘ 1761 წ. ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲘᲝᲐᲜᲔ, ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ K-26





იოსეგ კათალიკოსის 1776 წ. ანდერძი

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დავით ბატონიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიისათვის 1744-1840.ტფ.1905
2. ი. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები. თბ. 2016.
3. ბ. გაფრინდაშვილი. ი. კეკელია. გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. ქუთაისის მუზეუმის შრომები. კრებული XVI. ქუთ. 2006.
4. ბ. გაფრინდაშვილი. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები. თბ. 2015
5. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. პირველი. თბ. 1962.
6. ეფრემიძე თ. ხონის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე (173?- 1822). ქუთ. 2014.
7. კაკაბაძე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. ტფ. 1914.
8. კაკაბაძე ს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები წგ.I.ტფ.1921.
9. კეზევაძე მ. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს. ქუთ. 2006.
10. ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. კრ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 31. თბ. 1954.
11. ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. (სენიორიები) თბ. 1966

12. ბ. ლომინაძე. გელათი .2014.
13. ქ.მიქელაძე. მ. ჯანჯალია. გელათის ისტორია. წგ. გელათი. 900. ხურთთმოძღვრება, მხატვრობა, განძეულობა. თბ. 2007.
14. იმერეთის მეფე სოლომონ დიდი. ჩაწერილი სიკო კანდელაკის მიერ.ტფ.1895
15. მეფე სოლომონ I–ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.გაზ. კომუნარი. 1959 ამბროლაური № 96.
16. გ. მჭედლიძე. მ. კეზევაძე. ქუთაის-გაენათის ეპარქია. (ისტორია და თანამედროვეობა). ქუთ.2008.
17. მ. ნიკოლეიშვილი ისტორიული მასალები. ქუთაისის მუზეუმის მასალები I. თბ.1968.
18. მ. ნიკოლეიშვილი. ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. ქუთაისის მუზეუმის შრომები. კრებული XIII. ქუთ.2001.
19. რეხვიაშვილი მ. იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ). თბ. 1989.
20. რობაქიძე მ. საქართველოს საეკლესიო მოღვაწენი XVIII საუკუნის II ნახევარში. (ანტონ პირველი და იოსებ კათალიკოსი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები XIII. თბ. 2005
21. საქართველოს სიძველენი. ტ. III. ექ. თაყაიშვილის რედაქციით. ტფ.1913
22. საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII–XVIII სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთანდილ იოსელიანმა. თბ. 1980.

23. ქ. სიხარულიძე. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. II.თბ. 1964.

24. სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან თბ.1973.

25. სურგულაძე მ. ბაგრატიონთა სამეფო სახლი. გენიალოგიური ტაბულები შეადგინეს: მ. სურგულაძე და მ. ქავთარიამ. თბ.1995.

26. ქართული სამართლის ძეგლები ტ.III თბ.1970

27. ქორიძე თ.დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები. წგ.საქ.კათალიკოს-პატრიარქები. ნეკერი 2000.

28. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ.III. თბ. 1967.

29. ხელაია ამბროსი. მოგზაურობა რაჭა–ლეჩხუმში. წგ. მწიგნობრობა ქართული. 12. თბ. 2011.

30. ტყეშელაშვილი გ. გელათის საგანძური. ქუთ. 2006.

31. ტყეშელაშვილი ლ. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოსი და ექვთიმე. თბ. 2005.

32. ტყეშელაშვილი ლ. გელათი. „მეორე იერუსალიმი, სხვა ათინა“. ქუთ. 2007.

33. ტყეშელაშვილი ლ. იმერეთის მეფე სოლომონ I -დიდი. ქუთ. 2016.

34. ტყეშელაშვილი ლ. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი. ქუთ. 2017.

35. ტყეშელაშვილი ლ. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათა-

ლიკოსი იოსებ ბაგრატიონი (1769-1776 წწ). გელათის სასულიერო აკადემიის და სემინარიის შრომები. III.თბ. 2017.

36. Н Кондаков. Опис памятников древности въ некаторих храмах и монастыряхъ Грузий. Спб. 1890
37. А Муравиов Грузя и Арменя. III Спб. 1848
38. Цагарели А. Грамоты и Другие историрические документы XIX столетия относящися кь Грузий Том. I Спб. 1891
39. Цагарели А. Грамоты и Другие историрические документы XIX столетия относящися кь Грузий. Том. II Спб. 1898
40. Церетели Г. Полное собрание надписей на стенах и камняхь и приписокь кь рукописямь Гелатского монастирыя. Москва. 1891.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

№ Hd 14514. AD 652

ქუთაისის ისტორიული მუზეუმი

ისტორიული საბუთები. №103, 196, 652, 815, 866, 912, 969.

1. გელათის არქივი №64/66 №36

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი

ფ. 1448 ს-2208

სარჩევი

შესავალი 3

იოსებ ბაგრატიონი გაენათელი ეპისკოპოსი 1755-1769 წწ. 8

იოსებ ბაგრატიონი – აფხაზეთის კათალიკოსი 1769-1776 წწ. 26

უცნობი მღვდელმთავრის ფრესკა გელათის
მთავარ ტაძარში 49

იოსებ კათალიკოსის მიერ აღდგენილი ტახტი გელათის
ღვთისმშობლის შობის ტაძარში 55

1766 წლის იოსებ გაენათელის ანდერძი 61

1776 წლის იოსებ კათალიკოსის ანდერძი 63

იოსებ კათალიკოსის გელათის მონასტრისადმი ანდერძით
შეწირული ნივთების ნუსხა 64

ანნა ბატონიშვილის მიერ შეწირული დაფარნა ხახულის
ღვთისმშობლის ხატზე 66

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 75

მკითხველს ვთხოვთ მოიხსენოს გარდაცვლილი
მხევალი ნანა ქობულოვი

ყდაზე გამოსახულია იოსებ ბაგრატიონის მიერ აღდგენილი ტახტი

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54

ISBN 978-9941-471-22-3